№ 18
ხუთშაბათი, 24 იანვარი 1902 წ.
გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.
„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877–1902

ივერია

№ 18
ხუთშაბათი, 24 იანვარი 1902 წ.
რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც.
საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კაპ.
მეოთხეზედ—5 კაპ.
ექვთიმე ხელაძის სტამბის „ტელეფონი“ № 838

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექვთ. ხელაძის სტამბის მოულოდნელად ერთის დღით დახურვის გამო „ივერია“ ვერ გამოვიდა.

ქეთევან შალვას ასული **პასიკოვისა** გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ქმრისა თვისისას

სანდრო პასიკოვისას

და სთხოვს მობრძანდნენ შაბათს, ოცდა-ექვსს ამ თვისას, დილის ცხრა საათზე, ნაძალადევში, საკუთარს სახლში, საიდგანაც ცხედარს გამოასვენებენ ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში. დაკრძალულ იქნება კუკიის მართლ-მადიდებელთა სასაფლაოზე. (2—272—1)

„ივერია“

გამოვიდა 1902 წელს
(დაარსებიდგან მე-25 წელიწადს)

გადიდებულის ფორმატისა

იმავე პროგრამით, როგორც წინად

თან-და-თანობითმა ზრდამ მკითხველთა მოთხოვნილებისამ და იმ გარემოებამ, რომ პატარა ფორმატი გაზეთისა ნებას არ გვაძლევდა საჭირო საგნებისა და საზოგადო საკითხებისათვის ჯეროვანი ადგილი დაგვეთმო ხოლმე,—გვაიძულა გაგვედიდებინა გაზეთი და გაგვეხადა ახლანდელის ზომისა. ჩვენს გაზეთს ამ რიგად მოემატა ნახევარი იმისა, რაც აქამდე იყო.

ფასი გაზეთისა ისევ თუმანია.

ფასის გარდახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება: 5 მან. ახლავე, 5 მან. მაისის გასულს.

გაზეთის დასაბარებლად უნდა მიჰმართონ:

ტფილისში—„ივერიის“ რედაქციას (ნიკოლოზ. ქუჩა, № 21).

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგად. წიგნის მაღაზიას (**სასახლის ქ., თავად-აზნაურობ. ქარვ.**)

ქუთაისში—ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიას

ბაქოში—ხიდეკელის წიგნის მაღაზიას (**ნიკოლოზ. ქ. ქალანთარის ქარვასლის პირ-და-პირ**).

ტელეფონი № 227.

საფოსტო ადრესი: ТИФЛИСЪ. Редакція „Иверія“.

საკომერციო კურსები
ქალებისა და ვაჟებისათვის

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, **როგორც ქალებს, ისე ვაჟებს** და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუჰგალტერია მარტივი, ორკეცი და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 25 იანვრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 10 იანვრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ 12-მდე, კურსების სადგომში, **სოლოლაკში, ლერმონტოვის ქუჩა, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა**, № 9,

პროგრამები და წესები კურსებისა **უსასყიდლოდ** შეიძლება გაეგზავნოს და მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს: ს. პ. **მანუელიანც**, ტფილისი. (4—262—1)

ქართული თეატრი
ხუთშაბათს, 24 იანვარს, 1902 წ.
ქართულის დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ
წარმოდგენილი იქმნება
დ. მ. აწყურელის საბენეფისოდ
პირველად ახალი პიესები:

I

საგიჟეთში

კომედია-ფარსი სამ მოქმედ., გადმოკეთ. თ. ხუსკივაძის-მიერ.

II

ორი მეძებარი ერთ ნაკვალევზედ

კომედია 1 მოქმედ., თარგ. ა. ცაგარლის-მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ნებიერიძისა, ლეჟავა, მდივანი. ბ-ნნი: გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, მირიანოვი, იმედაშვილი და სხვ.

III

თავ. ოსიკო ბარათაშვილის მონაწილეობით

დივერტისმენტი

ბ. ივანიძე—წაიკითხავს ლექსებს.
ბ. ოსიკო ბარათაშვილი—ქართულად იმღერებს.
ბ. ვ. ურუშაძე წაიკითხავს ახალს გურულს სცენებს.
დ. აწყურელი—წაიკითხავს კინტოურ სცენებს.

დასაწყისი 8 საათზედ.
ფასები ჩვეულებრივია.
რეჟისორი ვ. გუნია.

მზადდება: **„ტყვე“—„ზოგი ჭირი მარგებელია“**

შავი-ქვის მრეწველთა კრების საბჭო

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ვისაც სურს პრაქტიკულად შეისწავლოს სამთო ხელოვნება ამ 1902 წელს უფასო კურსებზედ სოფ. ჭიათურაში, წერილობითი თხოვნა უნდა შემოიტანოს ამ წლის **პირველ თებერვლამდის** კურსების გამგის ინჟენერს პ. ა. **მარკოვსკის** სახელობაზედ, სოფ. ჭიათურაში და თან დაურთოს საჭირო ვინაობის დოკუმენტები.

კურსებზედ შემსვლელთ მოეთხოვებათ რუსულის ენისა და წერა-კითხვის წესიერი ცოდნა. კურსებზედ მიიღებიან 20 წლისაზედ არანაკლებნი. ამასთანავე უპირატესობა მიეცემა იმათ, ვინც მუშაობს გამგენი ან მოსამსახურენი არიან შორაპნის შავი-ქვის მრეწველობაში. (3—6.—2).

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი: 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 ს. საქირურგიო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვინერიულ ავადმყოფობათა.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7½ ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაურია, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана
Тифлисъ, против. памят. Воронцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ. გარდა ხუთშაბათისა და შაბათისა.

ე. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა 9—10 ს.

გ. გ. მაღალაშვილი. შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი. კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

კ. მ. ელიოზიშვილი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა. 11—12ს.

დ. ა. გედევანიშვილი. ნერვებისა და შინაგანი. 12—1 ს.

ა. გ. ბარსუკოვი. დედათა სნეულბანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

სტ. ა. ვოინო. ხირურგია. ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 1—2 საათ.

ი. დ. ბეგთაბეგოვი. სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1½—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი.—შინაგან და ბავშვებისა. 5—6 საათ.

გ. ს. დავიდოვი—ბავშვებისა და შინაგან სნეულებათა. 7—8 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი.—10—12 ს. შინაგან ამადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ღამ-ღამობით ექიმების მორიგობაა, ღამის 9 საათიდგან დილის 7 საათამდე. მსურველთ შეუძლიანთ სახლშიაც წაიყვანონ.

იაკობ ზაქარიას ძე გძელიშვილი

ექიმი

სწამლობს სიფილისს და შინაგან სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილით 9—12 საათამდე და საღამოთი 5—7 ს. აქვს შესახვევი მასალა. ავჭალის ქუჩა, № 85. (142—242—22).

ახალი ამბავი

⁂ ბათუმიდგან გვატყობინებენ, რომ საგუბერნიო მთავრობას თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი ქალაქის მოურავად დაუმტკიცებია.

⁂ მოსკოვიდგან დეპეშით გვწერენ: აქ ჩამოვიდა გუშინ ქართველ თავ.-აზნაურობის დეპუტაცია, რომელსაც ვაგზალზე დიდის ამბით მიეგებნენ აზნაურობის დეპუტატები და მაზრების წინამძღოლები მოსკოვის თავად-აზნაურობის გუბერნიის წინამძღოლის თ-დის ტრუბეცკოის მეთაურობით. თავადმა ტრუბეცკოიმ მოსკოვის თავად-აზნაურობის სახელით მიიპატიჟა დეპუტაცია საღამოთი სადილად მოსკოვის კეთილშობილთა შეკრებულობის დარბაზში. ვაგზლიდგან დეპუტაცია წავიდა ივერიის ღვთის-მშობლის ხატის სამთხვევლად. სადილზე წარმოითქვა რამდენიმე გრძნობიერი სიტყვა. სადილმა შუაღამემდე გასტანა. დღეს მეჯლისსა (ბალი) ჰმართავს აქაური თავად-აზნაურობა დეპუტაციისათვის“.

⁂ ამავე საგანზე „**Нов. Обозр.**“-ში ვკითხულობთ, რომ ვოგზალზე თავადმა ტრუბეცკოიმ პურ-მარილი მიართვა დეპუტაციასა. სადილი გამართული ყოფილა კეთილშობილთა შეკრებულობის დიდს დარბაზში, მიპატიჟებული ყოფილა 250 კაცი. თ-დის ტრუბეცკოის მისაგებებელ სიტყვისა და სადღეგრძელოს შემდეგ ილაპარაკა ტფილისის გუბერნიის წინამძღოლმა თ-დმა მელიქიშვილმა, რომლის სიტყვებმა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე. სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე პენზის გუბერნიის წინამძღოლმა ევლიჩმა, გრაფმა ს. დ. შერემეტიევმა, თ-დმა ლ. ს. გოლიცინმა და სხვ.“

⁂ ამ დღეებში პეტერბურგიდგან მოუვიდა მოწერილება ამიერ-კავკასიის აქციზის გამგეობის უფროსს, რომ მის ხელქვეითმა მოსამსახურეებმა, რომელთაც ეჭირვება დახმარება შვილების აღზრდაში, შეიტანონ თხოვნა, ცნობებით: 1) რამოდენა მამული აქვს მთხოვნელს, სად და რა შემოსავალი აქვს; 2) რამდენი შვილი ჰყავს; 3) სახელები თავის შვილებისა, მათის დაბადების დრო; 4) სად და რომელს სასწავლებელში სწავლობენ ბავშვები; 5) რამდენს იხდის მშობელი სასწავლებლის ფულს თვითო შვილზედ; 6) რომელი ბავშვია განთავისუფლებული სასწავლებლის ფულის გარდახდისაგან; 7) ხომ არ ეძლევათ სტიპენდია შვილებს და, თუ ეძლევათ, ვისგან; 8) რომელ სასწავლებელში სწავლობს ბავშვი და რომელ კლასშია, ხომ არ არის დანიშნული კანდიდატათ, რომელსამე სტიპენდიაზე; 9) სახელი და წლოვანობა მისი, რომელ ბავშვისთვისაც ითხოვს სტიპენდიას. 10) რამდენს იხდის მშობელი იმ ბავშვის სწავლების ფულს, რომლისთვისაც ათხოულობს სტიპენდიას, და რა ღირს იმ სასწავლებელში სრულ პანსიონერად ყოფნა და ან რამდენს ახდევინებენ სასწავლებლის ფულს.

⁂ გარდაუწყვეტიათ ტფილისის ბოტანიკურ ბაღთან დააარსონ ზოოლოგიური განყოფილება, რომელშიაც ჯერ-ჯერობით მოათავსებენ კავკასიის ფრინველებს და შემდეგ კი ნადირებსა და მხეცებსაც.

⁂ ტფილისის მებაღეობის სკოლაში ამ ჟამად სწავლობს 39 მოწაფე. სკოლის ზედამხედველმა კომისიამ მიანდო თავისს წევრს მ. ზ. ქანანოვს წარუდგინოს კომისიას მოსაზრება იმის შესახებ, თუ რამდენი მოწაფის მიღება შეიძლება კიდევ სკოლაში. ამის გამორკვევა იმიტომ დასჭირდა კომისიას, რომ ეხლახან დამთავრებული მისაღები ეგზამენები ბევრმა დაიჭირა და ვაკანსია-კი ერთობ ცოტაა.

⁂ „ნოვოე ობოზრ.“ სიტყვით, იანვრის 23 პეტერბურგიდგან ტფილისს წამოვა უფროსი ინსპექტორი რუსეთის ყველა რკინის გზებისა დ. ტ. ს. ინჟენერი ვ. ე. კეტრიცი.

⁂ ქალაქის საბჭომ დაამტკიცა პროექტი ნ. ე. ზუბალაშვილის სახელობაზე თავშესაფარ სახლის აშენების გეგმისა.

⁂ დღეს, საღამოს 8 საათზე, ქართულს თეატრში დ. მ. აწყურელის საბენეფისოდ წარმოადგენენ სამ მოქმედებიანს კომედია-ფარსს „საგიჟეთში“ და ერთ-მოქმედებიანს კომ. „ორი მეძებარი ერთს ნაკვალევზე“. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებენ გაბუნია-ცაგარლისა და ლეჟავა. ბ-ნი დ. აწყურელი დიდი-ხანია სინდისიერად და გულმოდგინედ ემსახურება სამშობლო სცენას და მისს კომიკურს ნიჭს არა ერთ-გზის გამოუწვევია გრძნობა სიამოვნებისა მაყურებლებში.

⁂ წრეულს ქალაქის საბჭოს სხდომები ექნება: იანვრის 28-ს, თებერვალში—4, 18 და 25-ს; მარტში—4 და 18; აპრილში—8, 22 და 29; მაისში—13 და 27; ივნისში—10 და 17; ენკენისთვეში—2 და 16 (ეს უკანასკნელი განსაკუთრებით ანგარიშის განსახილველად); ოქტომბერში—7 და 28; ნოემბერში—4, 11 და 25; უკანასკნელი განსაკუთრებით შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის განსახილველად) და დეკემბერში—9 და 19.

⁂ 20 ამ იანვარს, ღამით, ლაზარევის ქუჩაზე ვიღაც ღამის ქურდებს გამოუმტვრევიათ ნიკო შენგელიას დუქნის კარები, შესულან შიგ და წაუღიათ: ორი დიდი რუმბი, რამოდენიმე ბოთლი სასმელი (აურჩევიათ რაც კარგი ყოფილა), რაც პაპიროსები ყოფილა დუქანში და აგრეთვე გამოუგლეჯიათ დახლი და წაუღიათ ერთ თუმნამდე წვრილი ფული. ქურდები ერთი ქუჩის კარებიდგან შესულან და მეორე ქუჩის კარებიდგან გასულან. როგორც კარების ფიცრებს და ჩარჩოებს ეტყობათ, ქურდებს დიდრონი რკინის ლომები ჰქონიათ.—სულ არის წაღებული თხუთმეტი თუმნის საქონელი. ქურდებისათვის ჯერ ვერ მიუგნიათ.

⁂ რუსეთის ცეცხლის მქრობელი საზოგადოება სათანადო ნებართვით მომავალ მარტის 27-დგან ჰმართავს სრულიად რუსეთის ცეცხლის მქრობთა კრებას. ხსენებულ საზოგადოების ტეხნიკურს კომიტეტს გარდაუწყვეტია ამ კრების დროს გამართოს ცეცხლის საქრობ იარაღებისა და ხელსაწყობების გამოფენა, რომ თვალ-საჩინოდ დაანახვოს კრების წევრებს და სხვა დამსწრეთაც, თუ რა მდგომარეობაშია აქ ჟამად რუსეთში და ევროპაში ცეცხლის ჩაქრობის საქმე.

⁂ ტუაპსესა და სოჭს შუა ფოსტის გზის 8 სადგურის შენახვა ექვსის წლის ვადით იჯარადარს კეშელავას აუღია. ეს ფოსტის გზა სრულიად ახალი გზაა და მიმოსვლა უნდა დაიწყოს სამის თვის განმავლობაში დღიდგან ვაჭრობის დაწყებისა.

იმერეთის ამბები:

სოხუმი: ამ ბოლოს დროს იქამდის გათამამდნენ აქაური ზოგიერთი თავზე ხელაღებული ვაჟბატონები, რომ დღისითაც-კი არ ერიდებიან თავზე დაესხან კაცს.

აი, მაგალითად, დღეს, 15 იანვარს, საღამოს ცხრა საათზედ პოლიციისა და აფთიაქის შუა ვიღაც ოთხი კაცი თავს დაეცა შინ მომავალს ჰურქლის მაღაზიის პატრონს ქრისტესია გვარამაძეს და ყვირილითა და ცემით ფულსა სთხოვდნენ. ტყუილად ეძახდა საბრალო გვარამაძე პოლიციას საშველად! უსათუოდ ბოროტ-მომქმედთა მხვერპლი შეიქნებოდა, რომ კერძო კაცნი არ მიშველებოდნენ და არ დაეგდებინებინათ ხელიდამ. ბოროტ-მომქმედნი არხეინად გაუდგნენ გზას. ნაცემი და გულ-წასული გვარამაძე-კი ძლივს მოაბრუნეს აფთიაქის მოსამსახურეებმა.

სადღეისო წერილები.

წინა წერილში ჩვენ დავხატეთ მოკლე სქემა ჩვენის შეხედულობისა.

დღევანდელის ცხოვრების უმთავრესი გამგე და სულის ჩამდგმელი ძალა—დამოუკიდებელ და თვითმომქმედ ადამიანისადმი მისწრაფებაა. ეგ ძალა ორს სხვა-და-სხვა სახეს იღებს: ერთგან მოქმედობს, როგორც ეროვნული ძალა, მეორეგან, როგორც დემოკრატული.

გარდა იმ საზოგადო მნიშვნელობისა, რომელიც აქვს ეროვნებას კაცობრიობის ცხოვრებაში, ჩვენთვის, ქართველებისათვის, იგი კიდევ მეტს, განსაკუთრებულს ინტერესს წარმოადგენს. ჩვენი ვითარება ისეთია, რომ პირველ ყოვლისა უნდა გავარკვიოთ: რა არის ერი, ეროვნება?

ადვილი სათქმელია: მე ქართველი ვარ. მაგრამ ეგ როდი კმარა: ჩვენს დროში შეუძლებელია მარტო ინსტინქტებით და ბუნდოვანის გრძნობებით არსებობა. ყოველი ჩვენი მისწრაფება გამოცდილებაზე უნდა იყოს დამყარებული. ჩვენი გრძნობა უნდა იყოს დასაბუთებული, შეხედულობა—მეცნიერული…

ერი და ეროვნული პრინციპი.

> არ არიან ერნი უფრო კეთილშობილნი; ყველანი ერთგვარად შექმნილნი არიან თვით არსებობისათვის.

I

ვ. ჰუმბოლტი.

ერი და ეროვნება კულტურული მოვლენაა და ახალის ცხოვრების ნაყოფია. ძველს დროში არ აღიარებდნენ არც ცალკე ადამიანის (ინდივიდის), არც ერის—ამ კოლექტიურ ინდივიდის—უფლებას.

ძველის ქვეყნის იდეალი იყო ყოვლის შთანმთქმელი ერთობა. ბაბილონელები, ასურელები, ეგვიპტელები, სპარსელები ყოვლის ღონით სცდილობდნენ მსოფლიო სახელმწი-

ფოს დაარსებას. მათთვის გაუგებარი იყო მეზობელ ერთა დამოუკიდებლობა ისე, როგორც პირადი თავისუფლებაც.

საბერძნეთის ტომნი წარმოადგენდნენ ერთს ერს? ძნელია ამის უარ-ყოფა. ყოველი ელინი უწოდებდა გარეშე კაცს ბარბაროსს და მით ამტკიცებდა, რომ მე სხვა ვარ და უცხოელი სხვაო. ბერძნები კულტურულნი ტომნი იყვნენ, ჰყავდათ საერთო ღმერთები, ჰქონდათ საერთო დაწესებულებანი, საერთო ენა, მწერლობა და ხელოვნება. ყოველს ამას არ შეეძლო არ შეექმნა ეროვნული ერთობა; მხოლოდ ეროვნული ერთობა ვერ განვითარდა და ვერ შეიქმნა სრული. სპარსთა შემოსევამ ერთის აზრით გამსჭვალა მთელი საბერძნეთი, მაგრამ მას შემდეგ მალე იჩინა თავი ადგილობრივმა სხვა-და-სხვაობამ და ეკონომიურმა უთანხმოებამ; შესწყდა საბერძნეთის გაერთიანება და ბოლო მოეღო თვით მისს არსებობასაც.

იყო რომაული კულტურა, რომაული უფლება, დაწესებულებანი, იყო რომაელი მოქალაქე, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ რომის იმპერია ერს წარმოადგენდა. თუ იყო რომაელი ერი, ეგ მხოლოდ იტალიაში. შორეულ ადგილების მკვიდრნი-კი ძლიერ განსხვავებულს, ადგილობრივს ვითარებაში სცხოვრობდნენ; ძლიერი იყო მათ შორის საკუთარი ტრადიციები. იუდეიანი იუდეიანად დარჩა და განა იმპერიის აღმოსავლეთს ნაწილში ელინურმა ელემენტმა არ სძლია რომაულს ელემენტს და არ მოიპოვა პირველობა?

გერმანელი ბარბაროსები შემოესივნენ იმპერიას, დაიპყრეს და გაინაწილეს. დაარსდა ახალი სახელმწიფოები და სამთავროები; ჯერ ერის ხსენებაც-კი არსად იყო. დადგა საშუალო საუკუნოები.

მეტად უკულტურონი იყვნენ მაშინდელნი გერმანელნი, რომ თავიანთს ცხოვრებაში ეხელმძღვანელათ სხვა რითიმე, თუ არ ძალმომრეობით და დაპყრობით. ბრიტანიაში ბრიტებს იმორჩილებენ ანგლო-საქსები, მერე ორთავეს ბატონებად ხდებიან ნორმანები. დღევანდელ საფრანგეთის საზღვრებში ნორმანები, საქსები, ფრანკები, გალები ერთმანერთს ეომებიან, ერთმანერთს იპყრობენ. ამ სხვა-და-სხვა ტომების შერევისაგან წარმოსდგა მერე თან-და-თან ერთი ტომი-ერი...

ორი უმთავრესი მიზეზი აბრკოლებდა და ხელს უშლიდა, გარდა დაპყრობისა, ერის განვითარებას: ფეოდალიზმი და რომის ეკლესია.

როგორ შეიძლებოდა ერის არსებობა, როდესაც მთელი სახელმწიფო დანაწილებული იყო თითქმის დამოუკიდებელ ფეოდებად. თავის სამფლობელოში ყოველი ფეოდალი მეფეს წარმოადგენდა, ბატონი და მესაკუთრე იყო როგორც მამულისა, ისე ამ მამულზე მცხოვრებლებისა — მათი გამგე და მოსამართლე. თითოეული ფეოდი, მარკა თავის საკუთარის ცხოვრებით სცხოვრებდა და სულ მცირე კავშირი ჰქონდა სხვებთან.

მეორეს მხრივ რომის ეკლესიის შეხედულობით, ქრისტიანების (კათოლიკენი) ერთს, მჭიდროდ შეერთებულს კავშირს შეადგენდნენ ერთობა totius mundichristianorum (მთლად ქრისტეანთა ქვეყნიერების) აუცილებელი მოვლენა იყო რომისათვის. „რამდენადაც საგანი ერთიაო, ამბობდა თომა აკვინელი, იმდენად მეტი ფასი და ღირსება აქვსო“. ღმერთი ერთია და ყველაფერში უნდა სუფევდეს სრული ერთობაო. სარწმუნოების ერთობის განსამტკიცებლად ერთა და ეროვნულ ენათა განვითარებას ეწინააღმდეგებოდნენ. ლათინური ენა, საერთო ღვთის მეტყველება-მსახურებისა და მწერლობისათვის, იყო ენა „ერთისა ქვეყნისა“. რომის ეკლესია და რომაული კულტურა (უკეთ რომ ვსთქვათ, რომის ეკლესიის კულტურა) მეფობდა ყველგან დაუბრკოლებლივ. რომის პაპისთვის სულ ერთი იყო ფრანგი, გერმანელი, ინგლისელი. ყველა, როგორც ქრისტეანი-კათოლიკე, სრული მორჩილი უნდა ყოფილიყო მისი, როგორც სასულიერო, ისე საამქვეყნო სამოქალაქო საქმეებში. პაპი იყო თვით მეფეთა უფროსიც.

ცხოვრება თუმცა ნელის ნაბიჯით, მაგრამ მაინც წავიდა წინ: განვითარდა წარმოება და ვაჭრობა, აღორძინდნენ ქალაქები. იმ ძალამ, რომელმაც შემუსრა ფეოდალიზმი და გააძლიერა მეფეები, ხელი შეუწყო ერთა განვითარებასაც. ქალაქების ეკონომიურმა ვითარებამ მოითხოვა ომების შემცირება, მშვიდობიანობისა და წესიერების დამყარება, მუდამ ერთმანეთში მებრძოლ ურიცხვ ფეოდალთა ბატონობის მაგიერ ერთ-ბატონობის, ერთ-მეფობის დაარსება. ქალაქები შეიქმნა ახალ განათლების ბუდეთ. აქ იყვნენ მოწინავე დასნი და მათში დაიბადა ყველაზედ უწინარეს ეროვნული გრძნობა, სურვილი ეროვნულად გაერთიანებისა და გაძლიერებისა.

ქალაქები დაეხმარნენ მეფეს როგორც ქონებით, ისე გონებრივად და შეაძლებინეს ფეოდალების დამორჩილება. ამ დახმარებისათვის მეფემ მიანიჭა თვით-მმართველობა თავიანთს საქალაქო საქმეებში.

ქალაქების შემწეობით განითავისუფლეს თავი მეფეებმა პაპის ბატონობისაგანაც. მაგრამ ამ საქმეში ქალაქელებთან (ბურჟუასთან) ერთად იბრძოდა ყველა წოდება. ყველასათვის აუტანელი გახდა რომის ეკლესიის მიერ ქონებრივი და გონებრივი დამონება: მთელი სიმდიდრე პაპის ხელში გადადიოდა, ყოველგვარის აზრის მოძრაობა რომის index-ს ემორჩილებოდა.

ეს იყო ხანა რეფორმაციებისა და გლეხთა ომებისა. ქალაქის მუშები და გლეხები წინაღუდგნენ არამც თუ უცხო, რომის ეკლესიის ბატონობას, ომი გამოუცხადეს შინაურს ბატონებსაც, ქონებრივსა და უფლებრივს უპირატესობასაც.

რა მოჰყვა ამ ხანას? მეფეთა გაძლიერება, თვით-მმართველობის პრინციპის (თუმცა მცირედ) ჩარევა სახელმწიფო მართვა-გამგეობაში, ერთა შედგენა, დაბალ წოდებათა გამოღვიძება, სარწმუნოებრივი თავისუფლება.

რეფორმაციების დაწყებული საქმე განაგრძო საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ. მან მოსპო სამუდამოდ წოდებრივი უპირატესობა. მისთვის არ იყო თავადი, აზნაური, ვაჭარი, გლეხი. იყო მხოლოდ მოქალაქე, ადამიანი. თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა—აი მოძღვრება დიდის რევოლუციისა და პირველი შედეგი ამისა იყო ერის ბატონობა, მისი სუვერენიტეტი. სუვერენიტეტ-მოსილი ერი-კი იმ გვარადვე ხელ შეუხებელია, როგორც პიროვნება ადამიანისა. დიდმა რევოლუციამ საქვეყნოდ აღიარა თავისუფლება და ძმობა ერთა შორის, აღიარა, რომ კაცობრიობა წარმოადგენს ერთს საზოგადოებას, რომელიც არსებობს საერთოდ ყველა წევრებისა და ცალკე თითოეულ წევრის საბედნიეროდ და საკეთილდღეოდ; რომ ამ საზოგადოებაში ერნი უნდა განვიხილოთ, როგორც ინდივიდები, მათ ეკუთვნით ისეთივე ბუნებრივი უფლებანი და ემორჩილებიან იმგვარისავე სიმართლის წესებს, როგორც ინდივიდები ცალკე საზოგადოებაში; რომ ამის გამო არც ერთს ერს არა აქვს უფლება შეეხოს სხვა ერის საკუთრებას, ან წაართვას თავისუფლება. „ერთის ერის შემაწუხებელი, ამბობდა ერთი მაშინდელი მოღვაწეთაგანი არის მტერი ყოველის სხვა ერისა“. „იმათ, ვინც ამბობს ერის წინააღმდეგ,- ვკითხულობთ იმ მოღვაწის გაზეთში: რომ შეაჩერიან თავისუფლების განვითარება და მოსპონ ადამიანთა უფლებანი,—უნდა ვსდევნიდეთ ყველანი და მასთან არა როგორც უბრალო მტრებს, არამედ როგორც მკვლელებსა და ავაზაკებს“. ამგვარსავე აზრებს და იდეებს ჰქადაგებდნენ რევოლუციის სხვა მოღვაწენიც: ვოლნე, კონდორსე, კარნო, გრეგუარი და სხ.

ნაპოლეონის ომები რევოლუციის მოძღვრებას არ უნდა დავაბრალოთ. თვითონ ევროპამ გამოიწვია და წააქეზა საფრანგეთი მაშინ საომრად. თუმცა ამ ომების შედეგი ერთა დაპყრობა და დამორჩილება იყო, მაგრამ მათ ერთი დიდი, არა-პირდაპირი, გავლენაც ჰქონდათ: უცხოეთის ბორკილმა გამოაფხიზლა ევროპის ერნი და აღუძრა სურვილი ეროვნულის აღორძინებისა და თვით-არსებობისა.

დიდის რევოლუციის პრინციპები დამკვიდრდა ევროპის საზოგადოებაში და გამოიწვია საერთო პროგრესსი, განსაკუთრებით პოლიტიკურს ცხოვრებაში. ეროვნულ დამოუკიდებლობის და თავისუფლების იდეა, მაშინ გამოთქმული, დასაბუთდა ანთროპოლოგიის, ლინგვისტიკისა და ისტორიის გამოკვლევით. დღეს არავინ უყურებს კაცობრიობას, როგორც უფორმო მასსას „განუყოფელობისას“, რომელნიც თითქმის არაფრით განირჩევიან ერთმანეთში; არამედ ჩვენი საუკუნე განიხილავს კაცთა ნათესაობას, როგორც სისტემას სხვა-და-სხვა ჯგუფებისას, რომელშიაც ხმა-მაღლა და საქვეყნოდ თხოულობენ საკუთარს, დამოუკიდებელს არსებობას.

კარგად რომ თვალი გადავავლოთ წარსულს, ასეთს აზრს დავასკვნით: ყოველივე, რაც ხელს უწყობდა ადამიანის გათვითცნობიერებას და განთავისუფლებას, ხელს უწყობდა ეროვნების აღორძინებას და განმტკიცებას.

ვინ არ იცის, რა გვარი რეაქცია მოჰყვა საფრანგეთის რევოლუციას. რეაქციის მეთაურებმა ჯოჯოხეთის ნაშობად აღიარეს რევოლუცია და მისნი მოღვაწენი და ხიშტებით მოინდომეს ისტორიის უკან დაბრუნება. დაუვიწყარმა, გენიოსის ნიჭით მოსილმა მეტერნიხმა ცხრა კლიტულში ჩამარხა თავისუფლება—ეს მოუსვენარი არსება და გულ-დამშვიდებით განისვენა ოქროს სავარძელში, სრულიად დარწმუნებულმა, რომ დღეიდგან აღარა შეარყევს-რა მშვიდობიანობასაო.

ისტორიამ საშინლად დასცინა ღრმა პოლიტიკოსს: საკუთარის თვალებით დაანახვა და საკუთარის ყურებით მოასმენინა, რომ ადამიანის დამოუკიდებლობისა და თვითმოქმედებისადმი მისწრაფებას ვერავითარი „სასტიკი ღონისძიებანი“ ვერ მოსპობს!..

თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ, გარდა ორის-სამის მაგალითისა, ყოველს უმთავრესს საპოლიტიკო მოვლენას მეცხრამეტე საუკუნეში აზის ერთი და იგივე ბეჭედი, აქვს ერთი ხასიათი—ეროვნული. ბერძენთა აჯანყება 1821 წლიდგან, რომელმაც გამოიწვია ევროპის დიდ სახელმწიფოთა საქმეში ჩარევა, ლონდონის კონფერენცია და პოლიტიკური დამოუკიდებლობა საბერძნეთისა 1829 წელს; აჯანყება ბელგიელთა ნიდერლანდების წინააღმდეგ და გამოცხადება მათის დამოუკიდებლობისა 1825 წ.; ეროვნული ბრძოლა უნგართა, რომელმაც გამოიწვია ავსტრიის იმპერატორის დაგვირგვინება წმ. სტეფანეს გვირგვინითა და ავსტრიის მონარქიის ორ სახელმწიფოდ არსებობა-დუალიზმი (1867 წელს); მისწრაფება ჩეხებისა და სხვა სლავიანებისა ეროვნულ თავისუფლებისადმი; პოლიტიკური გაერთიანება იტალიელთა ერისა პიემონტის მეფის ვიქტორ-ემანუელისა, კავურის და გარიბალდის მეთაურობით (1848—1870 წწ.); ეროვნული გაერთიანება გერმანელებისა და დაარსება გერმანიის იმპერიისა (1813—1871 წწ.); განთავისუფლება ბოლგარიისა, სერბიისა, რუმინიისა; მოძრაობა მრავალ ტანჯულ ირლანდიისა; პოლონელთა აჯანყებანი, სომეხთა „უწესოებანი“; მრავალჯერ აჯანყება კრიტელებისა, რომელმაც გამოიწვია უკანასკნელი ბერძენ-ოსმალთა ომი და გათავდა კუნძულის ავტონომიით; სიონისტების კონგრესსები, დღევანდელი ბრძოლა ვენის პარლამენტში, კუბელთა აჯანყება, მოძრაობა კანადაში, გმირული ომი ბურებისა ინგლისელებთან,—ყოველს ამას ასულდგმულებს ერთი და იგივე დედა-აზრი. არ შეგვეძლიან ისე ვუყუროთ ყოველს ამას, როგორც უბრალო ფაქტებს: არ შეგვეძლიან გავაყოვლადოთ, სინტეზამდე არ ავიმაღლოთ და არ გამოვიკვლიოთ ეს ფაქტები. ერნი სცნობენ თავიანთ ინდივიდუალურს თვისებას, სცნობენ თავიანთ თავს, როგორც ზნეობრივს პიროვნებას სხვა ერთა შორის და მიისწრაფვიან თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისადმი...

რა არის ერი და რაზედ არის დამყარებული მისი მისწრაფება საგანი, რომლის აუცილებლად გადაწყვეტა გვიანდერძა წარსულ საუკუნის საპოლიტიკო ისტორიამ.

კალამი

ბ-ნ კლენოვსკის მიერ გამართული სიმფონიური საღამო.

21 იანვარს ტფილისის სახელმწიფო თეატრს დღესასწაულებრივი ელფერი ედო. მას შემდეგ, რაც ამ ათის წლის წინად, აწ გარდაცვალებულ პ. ი. ჩაიკოვსკის ტფილისელნი დიდის აღტაცებით დაუხვდნენ და დიდის ამბით გააცილეს, ვიმეორებ, მას შემდეგ ეს პირველი შემთხვევა იყო გუშინ ღამ, რომ თეატრში დამსწრე ხალხი ასე ერთის გრძნობით ყოფილიყო გამსჭვალული. ყველას უნდოდა პატივი ეცა ბ-ნის კლენოვსკისათვის, ყველა ერთნაირად ნანობდა ძვირფასის კაცის მოშორებასა.

აგერ შვიდი წელიწადია, რაც ეს პატიოსანი მოღვაწე ტფილისში გადმოიყვანეს. ამ ხნის განმავლობაში ბ-ნ კლენოვსკის ბევრჯელ გაუმართავს სიმფონიური თუ სხვა კონცერტი, მაგრამ ამოდენა ხალხი არ დასწრებია. მიზეზი გახლდათ ის, რომ ამ საღამოს ტფილისი ეთხოვებოდა ბ-ნ კლენოვსკის, რომელიც, უმაღლესის ბრძანებით, გადაყვანილია პეტერბურგში სასახლის კაპელლის გამგეთ.

სწორედ ძვირფასი კაცი იყო ჩვენთვის ბ-ნი კლენოვსკი. მისის წყალობით ბევრი იმისთანა სიმფონიური, თუ სხვა მუსიკალური ნაწარმოები გავიგონეთ, რომლის მოსმენას ჩვენისთანა უბრალო სიკვდილის შვილნი თავისს დღეში ვერ მოესწრებოდნენ. გარდა იმისა, რომ ბ-ნი კლენოვსკი სიმფონიურ კონცერტების დახელოვნებული მომწყობი იყო, ამასთანავე საუცხოვო კაციც იყო და გულკეთილი მასწავლებელი. იგი ერთნაირის თანაგრძნობით ეკიდებოდა თავისს მოწაფეთ ეროვნებისა და სარწმუნოების განურჩევლად. გარდა ამისა, კლენოვსკის ძალიან აინტერესებდა ჩვენის ქვეყნის გალობა-სიმღერა. ბ-ნმა კლენოვსკიმ ბევრი კუთხე ჩვენის ქვეყნისა მოვლო და ბევრი საერო სიმღერაც გადიღო ნოტებზედ, როგორც გუნდისათვის, ისე ორკესტრისათვის. არც ჩვენი საეკკლესიო გალობა დასტოვა უყურადღებოდ ბ-ნმა კლენოვსკიმ. თელავში ყოფნის დროს ბ-ნ შ. შიუკაშვილის თაოსნობით მოისმინა მართლა ნამდვილი ქართლ-კახური გალობა იმათი, ვისაც თვით მამა გრ. კარბელაშვილისაგან ჰქონდათ შესწავლილი. ამათგან მოსმენილი გალობა წირვისა და ზოგიც მწუხრისა ბ-ნმა კლენოვსკიმ დასწერა ჯერ სამსა და შემდეგ ხელოვნურად დააწყო ოთხ ხმაზედ.

შარშან თვით ბ-ნ კლენოვსკის სახლში მოვისმინე რამდენიმე საგალობელი ოთხ ხმაზედ და სწორედ აღტაცებაში მოვედი, ისე კარგად და კილო-შეუცვლელად იყო დაწყობილი ნოტებზედ. ეს გალობა ეხლა იბეჭდება და, რა თქმა უნდა, ამისთანა მცოდნე კაცისაგან დაწერილი ოთხ ხმად ჩვენი გალობა ძალიან საინტერესო იქნება, თუ კილო ყველგან დაცულია.

ჭეშმარიტად, ამისთანა კაცის მოშორება დიდი დანაკლისია ყველასათვის და ყველამაც დააფასა ბ-ნი კლენოვსკი. მუსიკალურ სკო-

ფელეტონი

მეფე ერეკლე და მისი წერილები.

I

მეშვიდე საუკუნეში ბერძნებმა და არაბებმა და XIII საუკუნიდგან მონგოლებმა—შემუსრეს ძლიერება სპარსეთისა და ისე გაანიორწყლეს, რომ XV საუკ. დამლევს ძლივს-ძლივობით გამოლონღიალდა საცოდავი სპარსეთი საისტორიო ასპარეზზედ—ისევ ცოცხალი ვარო. ამ დროიდგან ნელ-ნელა წელში გაიმართა, მოღონიერდა და დაგვირგვინდა შაჰნადირის ბრწყინვალე მეფობით, მაგრამ იგი ბრწყინვალება აღვირ-აშვებული მტარვალობით—ხმლით იყო ფრთა-შესხმული და ხმლითვე მიწელდა: 1747 წ. იგი ბრწყინვალება შაჰნადირს თან ჩაჰყვა საფლავში.

ისტორია სპარსეთის ასე გაძლიერებისა და დაუძლურებისა ისე დაკავშირებულია საქართველოს ისტორიასთან, რომ XVIII საუკუნის მწერალი ვერ აუქცევს გზასა ამ ორივე ქვეყნის თავგადასავალსა.

საყურადღებოა, რომ შაჰნადირი[1] და თეიმურაზ მეფე (თავის შვილით ერეკლეთი) თითქმის ერთ დროს გამოვიდნენ საისტორიო ასპარეზზედ: შაჰნადირი 1728—1730 წ., ხოლო თეიმურაზი 1731 წ.[2].

1724 წ. მეფე ვახტანგ VI რომ რუსეთში გადასახლდა და ამ დროიდგან ქართლ-კახეთში ოსმალნი გაბატონდნენ, ქართლი ორ ბანაკად გაიყო: ძლიერის გივი ამილახვრის[3] მეთაურობით ერთი ბანაკი მხნედ იბრძოდა ვახტანგ VI სახლის გამეფებისათვის, ხოლო მეორე ბანაკი თამარ დედოფლის[4] წინამძღოლობით—თეიმურაზისა.

ოსმალების შემწეობით გივი ამილახვარი იმედოვნებდა საწადელის შესრულებასა, მაგრამ, დარწმუნდა თუ არა ოსმალთაგან კეთილი არა იქნება-რაო. 1734 წ. ოსმალები გაჟლიტა გორის ციხეში. ამავე წელს შირვანისა და შაქის აკლების შემდეგ თამაზხანი (შაჰნადირი) განჯაში მოვიდა. თეიმურაზმა შეჰკრიბა ეპისკოპოსნი და წარჩინებულნი კახეთისა სათათბიროდ, თუ როგორ მოეგვარებინა საქმე. რაკი ოსმალნი მეტად ვერაგნი იყვნენ და ამასთან უძლურნიც, რომ თავის თავად დაეწყნარებინათ საქართველო—თეიმურაზი თათბირის შემდეგ განჯაში მივიდა, მაგრამ შაჰნადირი ცივად დაუხვდა. გაზაფხულის პირზედ რუსის ელჩი გოლიცინიც მოვიდა და აღდგომის დღეს თეიმურაზის სამგზავრო კარავში მოისმინა წირვა. პოლიტიკურის მოსაზრებით შორს მხედველმა შაჰნადირმა ჯარი მისცა თეიმურაზს და მიანდო ჭარბელაქნის აკლება, რაკი ოსმალებს შველოდნენ და ხელს უმართავდნენ ყიზილბაშთ საწინააღმდეგოდ. გაიგო თუ არა ქიზიყის მოურავმა აბელ ანდრონიკაშვილმა მიუხდა ყარაღაჯის ციხეს, შემუსრა და აამტუტა: ვინც გადარჩნენ გაწყვეტასა ოსმალნი გულ-გახეთქილნი ქალაქისკენ ეცნენ. გამარჯვებული აბელ მოურავი თავის ჯარით მიეგება თეიმურაზს სამუხში. თეიმურაზმა ღვთის რისხვა დასცა ჭარბელაქანსა, დაწვა-დაბუგა და ციხე-კოშკები მიანგრ-მოანგრია[5].

ამავე დროს შაჰნადირმა დაამარცხა ოსმალეთის სპასალარი თოფრულ ფაშა, მოვიდა გამარჯვებული ერევანში და თეიმურაზი დაიბარა. აქ შეიპყრა თეიმურაზი და ყარაულ ქვეშ გამოგზავნა ტფილისში თამარის წასაყვანად ერევანში. მაგრამ ყურყუთას მოსრული თეიმურაზი გაუსხლტათ ხელიდგან ყიზილბაშებსა და თელავში მოვიდა. გაჯავრებული შაჰნადირი გამოეშურა ტფილისისაკენ. შეშინებულმა ოსმალებმა გაანებეს თავი ტფილისსა და ჯავახეთის გზას გაუდგნენ.

განჯის კარზე მიეგებნენ ზოგიერთა ქართველნი დიდებულნი, შაჰნადირი 6 ღვინობისთვეს ტფილისში შემოვიდა; მაგრამ თეიმურაზმა და გივმა ამილახვარმა და სხ. ზედაც არ შეხედეს: თეიმურაზი ცოლშვილით ფშავში წავიდა, გივი ქართლში იყო გამაგრებული (ცხვილოს ციხეში). ესრეთმა უყურადღებობამ სისხლი გაუშრო შაჰნადირსა და ძლიერი ჯარი გაუსია გივსა და მის ამხანაგებსა, მაგრამ გივმა, საცა-კი მოატანა, ყველგან მუსრი გაავლო სპარსელებსა... ტფილისში მხოლოდ თვრამეტი დღე დარჩა შაჰნადირი, რადგან იძულებული იყო დაღისტნისაკენ მიეხედნა: დაპყრობილი სახანოები აუჯანყდნენ და მისი დაყენებული კაცები ზოგი ამოწყვიტეს, ზოგი გამორეკეს. შაჰნადირმა, რომ ნახა თეიმურაზის ძალა, გზად მიმავალმა ქართლი თეიმურაზის ძმისწულს ალექსანდრეს (ალი ხანი) მისცა და კახეთი თეიმურაზსა, გაჭირებისა გამო. მაგრამ მაინც ეჭვიანობდა ქართველებზედ და ტფილისში თვისი მისანდო სეფი ხანი დააყენა ჯარით საიდუმლო მინდობილებით.

სამშობლოს ასე გაუთავებელმა მწუხარებამ თეიმურაზ მეფე დააახლოვა გივი ამილახვართან. იფიქრეს მტკიცედ შეერთება, რომ მტერს უფრო მედგრად გამკლავებოდნენ. დაწყნარდა თუ არა ქართლ-კახეთი, სეფი ხანმა გამართა მიწერ-მოწერა მეფე თეიმურაზსა და სხვა დიდებულებთან—შევრიგდეთ სამუდამოდ და ყოველივე ერთმანეთში იჭვიანობა მოვსპოთო. მოვიდა თავის მხლებლებით ქართლში, სოფ. ფხვენისში და აქ შეიყარნენ მოსალაპარაკებლად; მაგრამ ღალატით შეიპყრო ყველა მოწინააღმდეგენი—თეიმურაზი, გივი ამილახვარი, ბარძიმ ერისთავი, ლუარსაბ თარხნიშვილი, გივი ჩოლოყაშვილი, ქაიხოსრო ანდრონიკაშვილი და სხ. და ერთიანად შაჰნადირთან გაგზავნა.

ამისთანა საერთო გაჭირვებაში გამოვიდა საისტორიო ასპარეზზედ ერეკლე მეფე, რომლის ოთხასამდე წერილიც ჩვენ ხელთა გვაქვს და ვიწყებთ მათს ხრონოლოგიურად დაბეჭდვასა—გამოქვეყნებასა—ისტორიულის განმარტებით და შენიშვნებით შეძლებისამებრ, რომ უფრო გაძლიერდეს ხრონოლოგიური კავშირი მათ შორის და ბ) ერეკლე მეფე, როგორც მაგ წერილების ავქსონი, უფრო ცხადად წარმოუდგეს მკითხველს თავისის დიადობით.

II

1709 წ. ისპაანში მიიცვალა მეფე ნაზარ-ალი-ხანი (ერეკლე I). ვახტანგ VI, ქართლის მეფე, დიდი მოსურნე იყო ქართლ-კახეთის ერთობისა და ძმობისა. ამიტომ 1711 წ. მეფის ნაზარ-ალი-ხანის ძე, ბატონიშვილი დავითი (შემდეგ კახეთის მეფე იმამ ყული ხანი) მოიპატიჟა ტფილისში, გაუმასპინძლდა შესაფერად და დაემძახლა: დავითის ძმა, ბატონიშვილი თეიმურაზი დანიშნა თავის ასულს თამარზედ. დავითი გაემგზავრა ისპაანში ყეენთან კახეთის მეფედ დამტკიცებისათვის, და კახეთის გამგეობა თავისს ძმას თეიმურაზს ჩააბარა. მეორე წელს (1712 წ.) თეიმურაზი ჩამოვიდა ტფილისში, ჯვარი დაიწერა თამარზედ და წაიყვანა სოფ. მანავში, სადაც დიდი ქორწილი გადაიხადა.

დავითი ხუთი წელიწადი დარჩა ისპაანში და ამ ხნის განმავლობაში თეიმურაზი და თამარი იმყოფებოდნენ დროს შერჩევით თელავში, მანავში და მაღაროში.

თელავში ყოფნის დროს (1720[6] წ. 7 გიორგობისთვეს) თეიმურაზს და თამარს დაებადა ვაჟი, რომელსაც ერეკლე უწოდეს. ოთხი წლისაც არ იყო ერეკლე, რომ ვახტანგ VI რუსეთში გადასახლდა. სპარსელების ადგილ ოსმალებმა დაიჭირეს და ქართლ-კახეთში გაბატონდნენ. მეფე დავითი მიიცვალა 1722 წ. და მის მოადგილედ მისი ძმა კონსტანტინე (მაჰმად-ყული ხანი) დასვეს, თუმცა კახეთში ბევრს თეიმურაზი უნდოდა მეფედ; კონსტანტინე 1729 წ. ოსმალებმა მოკლეს ბეჟანბაღზედ. თეიმურაზი გაერიდა ცოლშვილით ფშავში (თიანეთში) და იქ დაესახლა. ორი წელიწადი ეომნენ ოსმალნი ლეკებსა და რომ ვერ გააწყეს-რა, 1731 წ. დაიბარეს თეიმურაზ ტფილისში და კახეთის მეფობა დაულოცე რომ მისი შემწეობით კახეთიც ხელთ ეგდო როგორც ქართლი. შინაურ და გარეულ მტე თა ძარცვა-გლეჯისა გამო[7] თეიმურაზმა ფშ

---

[1] შაჰნადირი დაიბადა 1688 წ. ხორასანში. 2) ამა 1731 წ. მიიღო ოსმალთაგან მეფობა კახეთისა თეიმურაზმა.

[2] ოსმალებმა რომ კახეთი მტკიცედ დაიპყრეს, თეიმურაზმა მოიწადინა ფშავიდგან აყრა და რუსეთსწასვლა, მაგრამ კახელებმა არ გაუშვეს და თელავს ჩამოიყვანეს 1731 წ. ქ—ცხ. 141 გვ.

[3] გივის ბებია თამარი (ასული ვახტანგ V) იყო მამიდა ვახტანგ VI სა.

[4] თამარ დედოფალი იყო ასული ვახტანგ VI და მეუღლე თეიმურაზ II სა.

[5] ამ უდიერობით თეიმურაზმა საშვილიშვილოდ გადიკიდა ჭარბელაქნელნი და შაჰნადირის და გოლიცინის სურვილიც ხომ ეს იყო.

[6] თუმცა ბუტკოვი სწერს, რომ 1721 წ. დაიბა დაო (იხ. I, 136 გვ.,) მაგრამ სარწმუნო არ არის.

[7] ჭარ-ბელაქნელი ლეკნი აღმოსავლეთიდგან შინ დაბინავებულნი ოსმალნი ერთმანეთს ეცი ბოდნენ ქართლ-კახეთში ბატონობას. უწყალოდ ლებდნენ უპატრონოდ დარჩენილ ხალხსა. ზნე და მულნი ქართველნი მიდიოდნენ და მიჰყავდათ ლ თარეშები თავის მეზობლების ჯავრის ამოსაყრელ

ის მასწავლებლებმა და მოწაფეთ მიართვეს რამდენიმე ძვირფასი ალბომი და გამოთხოვებისას ყველანი ქებით ამკობდნენ და თანაც უმხნევებდნენ, რომ, თუმცა ჩვენთვის დიდი დანაკლისია თქვენისთანა ყოველის მხრივ ძვირფასის კაცის მოშორება, მაინც გვიხარის, რომ ჯეროვანად დავაჯილდოვათ უმაღლესმა მთავრობამაო. არც საზოგადოება ჩამორჩა მასწავლებელითა და მოწაფეთ. ისიც დიდის ალტაცებით მიეგება ბ-ნ კლენოვსკის და რამდენიმე ძვირფასად შემკული გვირგვინი მიართვა. უფრო დიდის თანაგრძნობით მიეგებებოდა საზოგადოება, რომ ყველას სცოდნოდა მისი ასე უეცრად სხვაგან გადაყვანა.

ბ-ნ კლენოვსკის მთელს რუსეთში, ბ-ნის საფონოვის მეტი, სიმფონიურ კონცერტების გამართვა-მოწყობაში სხვა ბადალი არავინა ჰყავს.

ზ. ჩხიკვაძე.

დაბა და სოფელი

რაჭა. „ყვავს არ ჰქონდა—ჩხიკვს გაჰქონდაო“, სწორედ ესე მოსდიოდა და მოსდის დღესაც ჩვენს ხალხს. ვიძახით, რაჭაში ადგილების სივიწროვეაო და ამ დროს-კი რაჭველები ახერხებენ უცხოს მიღებას და მამა-პაპეულს ადგილზე დასახლებას.

ასე მოუვიდათ სორელებს, რომლებიც მარტოოდენ ითვლებიან რაჭაში საკმარის მიწა-წყლის პატრონებათ. მაგრამ ერთმა-ორმა აზნაურმა ქიშპობით და იმ აზრითაც, რომ უფრო ადვილად დაჰპატრონებოდნენ საზოგადო ადგილებს, ამას წინად გადმოასახლა ჩასავალიდგან საზოგადო მამულზე რამდენიმე ოსი, რომლებსაც მერმე სხვებიც მოემატნენ და დღეს 35 მოსახლემდის ითვლებიან.

კარგად მოგეხსენებათ, რომ ოსებს მაღალი ადგილები და ტყეები უყვართ. აქაც ამოირჩიეს საუკეთესო ადგილები და ორ ნაწილად გაიყვეს, რომლებსაც გადამში და ჩვებარი ეწოდება.

ახლა სორელი გლეხებიცა და თვით ოსების მომხრე აზნაურებიც სწუხან, ეს რა ხალხი ჩამოვასახლეთო, მაგრამ გვიანღა არის. ოსებმა ფეხი მოიმაგრეს და შეიძლება მონახევრენი შეიქმნენ სორელებისა.

საუკეთესო ადგილების და ტყის დაკარგვასთან ერთად სორელებმა გაიჩინე, ახლო იმისთანა ხალხი, რომელიც იმათაც ბევრს დააკლებს და სხვასაც. ეხლავე იწყეს ქურდობა, საქონლის გადარეკვა ლეჩხუმსა და სამეგრელოში. ამ გვარ ხელობაში ოსები ხომ სახელგანთქმულნი არიან.

რაჭველმა კარგად იცის, თუ რა ვაჟბატონები იყვნენ ძველ დროში ოსები, რომლებიც დამშეულ აფთრებივით დაძრწოდნენ აქეთ-იქით და დაეძებდნენ მიხერხებულს დროს მისთვის, რომ მშვიდის რაჭველების მყუდროება დაერღვიათ. ბევრი უსიამოვნება ნახა მაშინ ქვემო რაჭამ, მაგრამ ზემო რაჭის ზოგი ადგილები: ღები, ჯიორა და სხვა სოფლები დიდხანს ვერ დაივიწყებენ ოსების მუხანათობას. მაგრამ, როგორც საზოგადოდ ქართველი, ისე რაჭველიც, მხოლოდ იშვიათად მოიგონებს წარსულს უსიამოვნებას და შურისძიებას სრულიად მოკლებულია. პირ-იქით, წარსულში თვისს მოსისხლე მტერს დღესაც გულუხვად ეპყრობა და ეძმობა. ოსი მეტად იშვიათად უნათესავდება საზოგადოდ ქართველს, თუმცა მასთან ათასის წლობით აქვს დამოკიდებულება.

ოსებს ძლიერ უყვართ მაღალი, ტყით შემოსილი ადგილები. ამ მხრით ჩასავალი რაჭისა ნამდვილი თვალია. ეს ადგილები მეტად მდიდარია მარტო ტყით-კი არა, ჰაერით, სხვა და სხვა მჟავე წყლებით და მადნეულობით. აქაური შავი ქვა ჩვენის ცნობილის პროფესორის ბ-ნ პეტრიაშვილის გამოკვლევით, მეტად კარგის თვისებისაა, ბევრად უკეთესი, ვიდრე ჭიათურის შავი-ქვა. ოდესმე თუ რაჭას ბედმა გაუღიმა და რკინის გზამ გაიარა ჩასავალზე, როგორც პროექტი იყო წარდგენილი, ოსების ბედს ძაღლი არ დაჰყეფს. ოსი თუმცა მაღალმთიანი ალაგებით სულდგმულობს, მაგრამ მაინც არაფრად აგდებს ტყეს და ჩქარობს მისს მოსპობას. ტყის მოსპობის შემდეგ ცდილობს კიდევ სადმე მთიანი ტყე მონახოს და იქ დაესახლოს. ამ გვარად გაანადგურა 35 მოსახლე ოსმა ხვედრი ტყე ჩასავალში და მერმე სორელების ტყიან მთებში ჩასახლდა. ამ ნაირად უცხოსათვის გაჩნდა დასასახლებელი ადგილები, როდესაც იქვე ახლოს ს. მუხლში ამ დღეებში რამდენიმე მოსახლე ჩამოიტანა მეწყერმა და ერთიანად გაანადგურა. უბედურნი დღემდის ეძებენ სამოსახლო ადგილს და ვერ უშოვნიათ. ოსს რაჭველზედ მეტად სძულს ბარი. ამას წინად მთავრობა დაჰპირდა ოსებს სამურზაყანოში სამოსახლო ადგილებს, მაგრამ ისინი მთაში ცხოვრებას ამჯობინებენ.

მ. ჯაშაიძე.

ნარკვევი

სტუდენტებისათვის გამოცემულ დროებით წესების გამო მოგვყავს ჟურნალ „ვესტნ. ევრ.“-ის სიტყვები საუნივერსიტეტო რეფორმის შესახებ:

„დრო გამოშვებით, როგორც მწერლობაში, ისე იმ კაცების მხრივაც, რომლებიც მოწოდებულნი არიან რეფორმის განსახილველად, გესმით ასეთი სიტყვა-პასუხი: განა შეიძლება უმაღლესის სწავლა-განათლების რეფორმა, როდესაც ის საფუძველი, რომელიც უნდა დაედვას საძირკვლად ამ რეფორმას, ძირეულად ეწინააღმდეგება ჩვენს სახელმწიფო და საზოგადო ცხოვრებას? განა იმედი უნდა გვქონდეს, მაგალ., უნივერსიტეტის ავტონომიის აღდგენისა, როდესაც თვითმმართველობას საზოგადოდ უფრო და უფრო უარვყოფთ, როგორც თეორიაში ისე პრაქტიკაში?

წერილის ავტორი სცდილობს დაარღვიოს ასეთი მოსაზრება.

„მტკიცე ლოგიკა, უეჭველია, იტყვის პასუხად არას. მაგრამ სინამდვილე და ლოგიკა ხშირად ერთმანეთს არ ეთანხმებიან. ჩვენს წარსულში, არც ისე შორეულს წარსულში, არა ერთს მოვნახავთ ისეთს შემთხვევას, როდესაც ცხოვრება ერთსა და იმავე დროს სხვა-და-სხვა გზით მიდიოდა, სხვა-და-სხვა მხარესკენ მიისწრაფოდა...

კერძოდ უნივერსიტეტის რეფორმის შესახებ ავტორი სწერს:

„უმაღლესის სწავლა-განათლების რეფორმა თუ განხორციელდა, ყოველს შემთხვევაში ბევრის წინააღმდეგობის და დაბრკოლების დაძლევა მოუნდება. შეიძლება ამ ბრძოლიდგან უფერული და დაუძლურებული გამოვიდეს. მაგრამ იქნება საქმე სხვანაირადაც დატრიალდეს. თვითმმართველობის გამარჯვებას ერთს სფერაში შესაძლოა მოჰყვეს მისი გამარჯვება სხვაგანაც, სადაც იგი დღეს შევიწროვებული და დამცირებულია.

—

გაზეთს „ს.-პეტერბ. ვედ.“-ში საყურადღებო წერილია მოთავსებული მასწავლებელთა საურთიერთო დახმარების საზოგადოებათა შესახებ:

„ნივთიერად გაჭირვება, ცხოვრების თანდა-თან გაძვირება, უიმედობა მომავალში აიძულებს ზოგიერთს მასწავლებელს თავი დაანებოს ამ სიმპატიურს საქმეს და სხვაგან ეძიოს უფრო სასარგებლო ადგილი; ასეთი ყოფა ზოგს მეტად საცოდავს მდგომარეობაში აგდებს, ზოგს აიძულებს თავიანთ შორის მოაწყონ ერთმანეთის დახმარება და შემწეობა. „ყველა ჩემთვის, მე ყველასათვის“, ეს პრინციპი თან-და-თან იკიდებს ფეხს სახალხო მასწავლებელთა შორის, რომელნიც, აარსებენ საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოებათა და ამით თავს აღწევენ სიმშილით სიკვდილს. დღეს რუსეთში არსებობს 40-მდე ასეთი საზოგადოება.

1894 წლის ნორმალურ წესდების გამოცემამდის ძლიერ საძნელო იყო საზოგადოებათა დაარსება, მაგრამ თუ ამ წესდების გამოცემამ ერთის მხრივ გაადვილა საქმე, მეორეს მხრით ძლიერ ჰზღუდავს და ავიწროებს ამ საზოგადოებათა მოქმედების ასპარეზს.

„წესდების მე-24 მუხლი ნებას აძლევს საზოგადოებას იზრუნოს თავის წევრების მხოლოდ ნივთიერ კეთილდღეობისათვის; მათ გონებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება-კი მისი საქმე არ არის. გამგეობის წევრად ინიშნება კაცი მთავრობის მიერ—დირექტორი ან ინსპექტორი სახალხო სკოლებისა. ვინც იცნობს დამცირებულს და დამდაბლებულს სოფლის მასწავლებელს, რომელსაც გარს ახვევია ათასი სხვის გულის საიდუმლოს მაძიებელი, ის ადვილად წარმოიდგენს, თუ როგორი იქნება მისი მონაწილეობა გამგეობასა თუ კრებაში. განა სოფლის მასწავლებელს ექნება იმდენი მოქალაქეობრივი გამბედაობა, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს თავისს უფროსებს?... აუცილებლად საჭიროა ნორმალურის წესდების გადასინჯვა და შეცვლა. დღეს იგი ართმევს თავისუფლებას საზოგადოებას და უსიცოცხლოდ ჰქმნის მის მოღვაწეობას.

სოფლის მასწავლებლის ნივთიერი გაჭირვება თითქმის საარაკოდ არის გამხდარი. იშვიათია, რომ ასეთი მძიმე ტვირთი აწვეს კისრად კაცს, როგორც სოფლის მასწავლებლობაა და ასეთს მცირე ჯილდოს-კი იღებდეს. მხოლოდ საზოგადო სიკეთის ღრმა სიყვარულს უნდა მივაწეროთ, რომ სოფლის მასწავლებლები თავს არ ანებებენ თავიანთ თანამდებობას და კვლავ განაგრძობენ მძიმე ტვირთის ზიდვის.

რუსეთი

ქ. სიმფეროპოლში იქაური საქველ-მოქმედო საზოგადოება შესდგომია ღარიბებისათვის უფასო სახლების აშენებას. თითო ბინა დაჯდება 300 მანეთამდე; ოთხი ბინა შეადგენს ერთს პატარა სახლს. ჯერ-ჯერობით ააშენებენ მხოლოდ სამს ამისთანა სახლს.

— ქ. ბუგულმში, სახალხო თეატრთან, დაუარსებიათ ღარიბ ხალხისათვის უფასო კონსულტაცია იურიდიულს საქმეებში დასახმარებლად.

— ჩერნიგოვის ქალაქის გამგეობას განუზრახავს დააარსოს მოსამსახურეთა დასაქირავებელი კანტორა. კანტორასთან გაკეთებული იქმნება ბინა იმ მოსამსახურეთათვის, რომელნიც უადგილოდ იქმნებიან დარჩენილნი.

— ვარშავაში არსდება „საქორწილო“ კასსა მზგავსად სამარხის კასსისა, რომლის საგანიც იქმნება მზითევი მისცეს თავისს წევრებს ჯვარის დაწერის დროს. წევრებად შეუძლიანთ იყვნენ საქორწინო ქრისტიანი ყმაწვილ-კაცები, ვაჟები და ქალები; საწევრო ფული ხუთი მანეთია; გარდა ამისა, ყოველმა წევრმა რომელისამე წევრის ჯვარის დაწერის დროს უნდა გადაიხადოს ხუთი მანეთი.

— გზათა სამინისტროს განზრახვა აქვს, დააარსოს კიდევ ერთი ისეთი უმაღლესი სასწავლებელი, როგორიც არის მოსკოვის საინჟინერო სასწავლებელი.

უცხოეთი

ინგლისი. პარლამენტში, ოპოზიციის საპასუხოდ, ჩემბერლენს ვრცელი სიტყვა წარმოუთქვამს. ახალშენთა მინისტრი მრავალ საგანს შეხებია: ბავშვებისა და დედაკაცების ამოჟლეტას სამხრეთ-აფრიკაში, ზავის ჩამოგდებას და სხვ. აი, ზავის დადების შესახებ რა უთქვამს: „გულითა და სულით გვინდა ომს ბოლო მოვუღოთ და ზავი ჩამოვაგდოთ, მაგრამ ისეთი ზავი, რომლის დარღვევაც შეუძლებელი შეიქმნეს. ჩვენი უკიდურესი მოწინააღმდეგენიც-კი დიდ უბედურებად ჩასთვლიან კაცობრიობისათვის იმ ამბების განმეორებას, რაც ეხლა ხდება. უპირველეს ყოვლისა საჭიროა დამარცხებულთ თავიანთი დამარცხება აღიარონ. დამამცირებელი ამ შემთხვევაში არაფერია. ბურებმა ყველას დაანახვეს, რომ საუკეთესო მებრძოლნი არიან. ვერავინ გაჰბედავს და იტყვის, რომ გამბედაობა აკლიათო. დამცირებად არავინ ჩასთვლის, ბურებმა რომ იარაღი დაჰყარონ და უფრო ძლიერის მოწინააღმდეგის წინაშე ქედი მოიხარონ. ჩვენ ჩვენის მხრივ ვეცდებით მათი მდგომარეობა განვაკარგოთ“. ამავე კრებაზედ სიტყვები წარმოსთქვეს გარკურმა, კემპბელ-ბანერმანმა, ირლანდიელებმა და სხვებმა და, რაღა ლაპარაკი უნდა, სიშინლად გაჰკიცხეს მთავრობა და მისი პოლიტიკა.—სამხრეთ აფრიკის ომის გარდა დეპუტატთა პალატას ლაპარაკი სპარსეთის საქმეების შესახებაც ჰქონდა. ეს საგანი ვალტონმა აღძრა. „ჩრდილოეთ სპარსეთში ჩვენი ვაჭრობა დიდად შემცირდა, რადგანაც ეს ნაწილი თითქმის რუსეთმა დაისაკუთრა: გაიყვანა გზები, გამართა ხიდები, გაავსო ბაზრები თავის საქონლით და სხვა. ინგლისს სამხრეთ სპარსეთის ბაზარი-ღა შერჩა. ყველა ამის გამო ინგლისმა სხვა პოლიტიკას უნდა მიჰმართოს და სხვა რიგად მოაწყოს სპარსეთში საქმეები. ჩვენი მთავრობა ფხიზლად უნდა იყოს და წინააღუდგეს ყოველგვარ შეთანხმებას, რომელსაც, ჩვენის ვაჭრობის საზარალოდ, რუსეთი და სპარსეთი განიზრახავენ. თუ რუსეთმა სპარსეთის ყურეში ნავთ-სადგური მიიღო, ინგლისმა გუდა-ნაბადი უნდა აიკიდოს და სპარსეთს თავი მიანებოს“. სხვა ორატორებმაც ესევე აზრი წარმოსთქვეს. ყველამ საჭიროდ სცნო შეთანხმება რუსეთსა და ინგლისს შორის სპარსეთის საქმეების გამო.

— ინგლისის მინისტრები ერთხმად გაიძახიან აქამომდე, რომ ახალშენებთან საუკეთესო განწყობილება გვაქვს, სამხრეთ აფრიკის ომმა უფრო დაგვაახლოვა და დაგვაკავშირაო. დასამტკიცებელ საბუთად ის მოჰყავდათ, რომ ახალშენები გვეხმარებიან ომშიო. მათ უთხოვნელად ჯარი მოგვაშველეს და სხვა მხრივაც დაგვიჭირეს მხარიო. თუ რამდენად მართალი გამოდგა მინისტრების სიტყვები, სჩანს შემდეგის ამბავიდგან, რომელსაც ერთ რუსულ გაზეთს ატყობინებენ: „მინისტრთა კაბინეტმა მიიღო ახალშენებისაგან ანკარიშები. ახალშენები თხოულობენ იმ ხარჯს, რომელიც სამხრეთ აფრიკის ომის გამო მოუვიდათ“.

სამხრეთ-აფრიკის ომი. როგორც გააგაში შეუტყვიათ, მალე აღელვება მთელ კაპის ახალშენს მოედება თურმე. ახალშენელები ასობით უერთდებიან ბურებს. ლოტტერისა და შეპერსის სიკვდილით დასჯას ყველანი ძალიან აუღელვებია. იმათაც-კი ბურების მხარი დაიჭირეს ეხლა, ვინც წინად ინგლისელებს თანაუგრძნობდა. გაგაშივე ატყობინებენ ინგლისელების დამარცხების ამბებს. ეს ამბები ლორდ კიტჩენერს არ უცნობებია თურმე თავისის მთავრობისათვის. ამას გარდა ბურების წინამძღოლთ განუზრახავთ მთელის სამხრეთ-აფრიკის გაერთიანება და ერთიან სახელმწიფოს შექმნა. ამ სახელმწიფოში შევლენ ტრანსვაალ-ორანჟე, კაპის ახალშენი, ნატალი და სხვანი. წინამძღოლთ მოლაპარაკება უკვე დაუწყიათ ახალშენელებთან. თუ ეს ამბავი გამართლდა, ინგლისელებს მაშინ მთელ სამხრეთ-აფრიკის მცხოვრებლებთან ექმნებათ საქმე და არა მარტო ბურებთან.

— ამერიკელებს განუზრახავთ მეფე ედუარდის გვირგვინის კურთხევის დღეს დიდი დემონსტრაცია გამართონ ინგლისის წინააღმდეგ. ამ დემონსტრაციით ჰსურთ საყვედური გამოუცხადონ ინგლისს სამხრეთ-აფრიკის ომისა და იმ უსამართლობის გამო, რომელსაც ბურებს აყენებენ. ჩიკაგოში უკვე შეუდგნენ დემონსტრაციისათვის მზადებას. შესდგა განსაკუთრებული კომისია. აზრადა აქვთ ამ დღისათვის ევროპიდგან მოიწვიონ პრეზიდენტი კრიუგერი. იმავე ამერიკაში დეპუტატმა კლარკმა წინადადება შეიტანა, კონგრესმა თანაგრძნობა გამოუცხადოს ბურებს.

ბელგია. ბელგიის მთავრობას განუზრახავს გააუქმოს საყომარბაზო სახლები ოსტენდესა და სპაში. ამის გამო ლაპარაკი პარლამენტსაც ჰქონია ბუჯეტის განხილვის დროს. საბჭოს პრეზიდენტს გამოუცხადებია, რომ უნდა დავაჯილდოვოთ ორივე ქალაქი, რადგანაც საყომარბაზო სახლების დაკეტვით მათ დიდი ზარალი მოუვათო. ოსტენდეს 5 მილიონი უნდა მიეცეს, ხოლო სპას—2 მილიონი.

— მეორე საყურადღებო საგანი, პალატაში აღძრული, კვირაობით მუშაობის შეწყვეტაა. აზრადა აქვთ სავალდებულო გახადონ ყველა დაწესებულებისათვის კვირაობით მუშაობის შეჩერება. ბელგიის პალატასა და გაზეთებში ამის შესახებ დიდი კამათია. საყუ-

---

ვერ მოიკიდა ქართლ-კახეთში. ეს ისრეთი გაჭირვებული დრო იყო, როდესაც ქართლ-კახელნი, თვალცრემლიანნი, დავით გურამიშვილისა არ იყოს—„დადედლებულნი შიშთაგან, აღარ ვარგოდნენ მამლადა“; როდესაც „ქართლელების დალმა ხნულსა კახელები აღმა ჰფარცხდნენ“. ამისთანა სულის შემხუთავ გაჭირვებაში პატარა ერეკლე ბატონიშვილი იზრდებოდა „გმირთა სავანეში“ (თუშ-ფშავ-ხევსურეთში), სადაც თავის ტოლ-ამხანაგებთან ატარებდა დროს და თავის-და შეუგნებლივ ემზადებოდა „საგმიროთა საქმეთათვის“. ერეკლეს ლალად (აღმზრდელი) მიუჩინეს პატარაობიდგანვე აბელ მოურავი ანდრონიკაშვილი და მისი ძმა ონოფრე ბოდბელი. საეკლესიო გალობას ასწავლიდა სახელოვანი მგალობელი მღვდელი დიმიტრი ხელაშვილი. სხვათა შორის, ერეკლეს პატარაობის განუყრელი ამხანაგები იყვნენ გივი ბოდაველი და გოგია პაპიჭაშვილი (ხამხაძე), მუდამ ერთად ფარიკაობდნენ, მუდამ ერთად ნადირობდნენ, ერთად თამაშობდნენ—ბურთაობდნენ.

აქ, თიანეთში ნადირობის დროს, ერეკლეს დაუჭერია თურმე მშვლის ნუკრი, გაუზრდია თხის რძით და ბიჟინა დაურქმევია სახელად. მშველი რომ წამოიზარდა, იკლებდა სასახლესა: ახტოდა, ჩახტოდა და ყველაფერს აღმა უშვრებოდა პირსა. მეტადრე გამდლები და მოახლეები იყვნენ შეყელთებულნი და უფრო იმათ მოუსწრაფეს კიდეც დღე ბიჟინას და მისს დედინაცვალსა. ერთხელ ერეკლე შინ არ ყოფილა და ბიჟინას რომ ცელქობით თავი მოუბეზრებია სასახლეში მყოფთათვის, თეიმურაზს უბრძანებია მისი დაკვლა და სადილად მომზადება და დედინაცვალიც თან მიუყოლებიათ. ამ ამბის შესახებ ჩვენ მოვიყვანთ თეიმურაზ მეფის ლექსს, რომლითაც ანნას (უფროსი დაი ერეკლესი) მაგიერ გაუმღლავნა მშველის და თხის სიკვდილი პატარა ერეკლესა:

„სამეფოს ბატონიშვილობაში მეფემ ერეკლემ შველი გაზარდა და სასახლეში ჰყვანდა; თვითონ იქ არ ბძანდებოდა, მეფე თეიმურაზ, შველი და მისი გამზრდელი თხა ამა ლექსებით გაუმღლავს, ბატონიშვილის ანნას მაგიერ მისწერა ეს ხუთი ლექსი:

ვითა ვსთქვენთ ძნელად სათქმელნი აწ თქვენთან ჩემის პირითა,
აღვსილნი მწუხარებითა, სისხლრევით ცრემლით ვსტირითა;
ერთმანერთზედა დაგვერთვნეს წუხილნი უცხოს ჭირითა
და აწ გრიდობ თქმასა ვით თხაზედ მოვსთქვამთ და მუდამ ვჩივითა.
მოგვკვდა თქვენი ბიჟინა, ამაერ სოფლით გავიდა,
ვერც მოვიკმარეთ ჩვენ კორცი, ბარკალი, ვერცა გავვიდა,
არც გამოგვადგა გუდათა, ტყავი არც ფარად გავადა
და ფაფრაკის გზით მოგვიკვდა, ცოტა ხანს გვიწვა ავადა
ჩიოდა ამას ბიჟინა, რომ კდომა ჰქონდა სულისა—
სად მყავს აწ ჩემი პატრონი, ჩემი ამგები ხულისა
უმისოდ მომკლეს დიაცთა, არ მყვანდა მტკენი გულისა
და აწ თქვენ შეგვადრეთ უგრძნულად სიკვდილი მის ბედკრულისა
ჩვენც გვეწყალოდა, რა ვნახეთ ვერ შემშამეღი მაზისა,
სკლავად გამომეტებით მოსდევდა თვალ-დამაზისა,
გოგიაურის ქალს უთხრა მსწრაფლ გაკურგება გაზისა
და უთხრა—დაგლიჯე ასონი, ბიჟინას ტურფა ნაზისა...
სულთბრძოლის დროს ჩვენება ნახა ადგილი მზიანი,
გვითხრა ვნახეთ ნათელში თხა არის ოქროს რქიანი,
უცხოს სამოთხეში კიკინებს, არა სჭირს სულის ზიანი
და მოდი და ჩემთან იხარე, ნუღარ ხარ თვალცრემლიანი“.

ბიჟინა და მისი დედინაცვალი (თხა) რომ დაჰკლეს, იქ ამ დროს დაესწრო ბოდბელი მიტროპოლიტი ონოფრე ანდრონიკაშვილი [8]), რომელმაც თავის მხრივ შემდეგი ლექსი უძღვნა გულნატკენ ბატონიშვილსა:

„რომ მოკვდა თქვენი ბიჟინა, შექნა ეტლი წყეული:
არ ჰყვანდა შენებრ მომვლელი, რასთვის დაარჩვეს ეული;
შენც იცი ჩვენის სიდიდამ ვინ არის გამოსეული,
და კრჩხიალი ცეცხლებრ მდუღვარი ლოთი იმედისეული.
ვით შველი, ესეც ასკასებს, დარბის ჩვენს არე-მარესა;
თუ მრუდათ ვინმე შეხედავს, სიტყვასა ეტყვის მწარესა;
შეხტების დარბის ბუზედ, არ საქმობს მოსახმარესა.
და ბატონმა ბძანა—რადა მყავს, რასთვის არ მივეც ქმარესა...“

თითონ ერეკლე გულფიცხი, მარდი, დაუზარელი, დაუღალავი თურმე იყო: სანადიროდ ან სათამაშოდ წარსულს შინ დაბრუნება აღარ აგონდებოდა. ხშირად აწყობდა თავის ამხანაგების რაზმსა და ლაშქრობანას თამაშობდა: ორად გაყოფილი რაზმი ერთმანეთს უსაფრდებოდნენ უალაგო ალაგას და შეუტევდნენ ერთმანეთს ბერყაფულად. ყოველ ჯარობაში პატარა კახი დააქროლებდა თავის ბაჩას და თავმოწონებით ჯირითობდა, გაახტუნ-გამოახტუნებდა თავისავით ცელქს ბაჩასა და მაყურებელთ აკვირვებდა თავის მოხერხებითა და სიმარდითა. „უფალმა დიდი დღე მოგცეს“, ლოცავდნენ ირგვლივ მაყურებელნი.

ამ დროს თეიმურაზი აღიოდა დ ჩადიოდა თელავში და მუდამ გულ-საკლავი ამბები მოჰქონდა შინ. როცა თეიმურაზი მოაყოლებდა თათრების უდიერობასა საქართველოში, ერეკლე მუდამ პირში შეჰყურებდა—სიტყვა არა გამეპაროს-რაო. ეს ამბები ჟრუანტელს უღვებდნენ პატარა ერეკლეს და კბილებს აკრაჭუნებდა, გულზედ მუშტის ცემით ნატრობდა იმ დროს, როცა თათრების ჯავრის ამოყრას შესძლებდა. შესრულდა თხუთმეტის წლისა და შეუდგა კიდეც „საგმიროთა საქმეთა ქმნასა“.

„ხოლო წელსა 1735 მივიდნენ ლეკნი და ქიზიყი მოარბიეს. მაშინ იყო ძე მეფისაი თეიმურაზისა ირაკლი წლისა 15, რომელმან შემოიყარა სოფლიდგან ჯარი, ეწია ნეიშნის მინდორში (ს. ტიბაანის ბოლოზედ) და ძლიერად შემოებნენ ლეკნი... გარნა თვით ესე ყრმა ძე მეფისა თეიმურაზისა ირაკლი **მერე** შევიდა შინაგან ჯარსა ლეკისასა და პირველად ამან მოკლა კაცი და ამის მხილველთა კახთა ერთ-პირად მიმართეს ყიჟინით და წინა წარიქციეს ჯარი ლეკისა, აჰყარეს ტყვენი და საქონელი და მოსწყვიტეს უმრავლესნი და მოვიდა მალარონ გამარჯვებული. რომლისათვის ფრიად მხიარულ იქმნენ კახნი, იხილეს რა სიმხნე და მამაცობა მემკვიდრისა თვისისა“[9]).. ასე მოგვითხრობს ომან მდივანი პატარა ერეკლეს ვაჟკაცობასა.

მღ. პ. კარბელაშვილი.

ალავერდის მთავარ-ეპისკოპოსმა ნიკოლოზმა ურჩია კახელებს—ლეკებს ქართლისკენ გაუძეხით სადავლაოდ, შუბლადეთ და კახეთზე ხელს აიღებენო...

[8]) ბოდბელი ონოფრე მძახალი იყო თეიმურაზ მეფისა: მეფის ნაზარ-ალიხანის (ერეკლე I) ასული ქეთევანი (და თეიმურაზისა) იყო მეუღლე ონოფრეს ძმისა—ქიზიყის მოურავის აბელ ანდრონიკაშვილისა. ქეთევანი 1718 წ. დასაფლავეს ალავერდის ტაძარში. აბელი იყო შესანიშნავი ხუროთ-მოძღვარი, მისის ზედამხედველობით აღაშენდნენ განათლდნენ სიღნაღიდგან თელავამდე ყველა ციხეები და საყარაულო კოშკები 1710—1741 წ.

[9]) იხ. ქ—ცხ. 476—477 გვ.

რადღებო ის არის, რომ კლერიკალნი თხოულობენ კვირაობით დასვენებას მაშინ, როდესაც ლიბერალნი დიდი წინააღმდეგნი არიან. ამ საქმეში ყველას თავისუფლება უნდა მიეცესო, ამბობენ ლიბერალები. უმაღლესმა მუშათა საბჭომაც (სახელმწიფო დაწესებულებაა) სასურველად არა სცნო სავალდებულო დასვენება. მღვიმე-მაღაროების მთავარ დირექტორის აზრით მუშაობა დაწესებულებაში კვირასკი არა, სხვა რომელსამე დღეს უნდა აიკრძალოს. მთავრობას ჯერ-ჯერობით თავისი აზრი არ გამოუთქვამს ამ საყურადღებო საგნის შესახებ.

წვრილი ამბები

ჩეხებს მორავიაში 1901—1902 სამოსწავლო წელს 16 გიმნაზია ჰქონიათ. ამათში 8 სრული გიმნაზია ყოფილა და 8 პროგიმნაზია. 11 გიმნაზიას სახელმწიფო ინახავს, 2—საზოგადოება და 3—ჩეხთა „მატიცა". ამ სკოლებში სწავლობს 5,037 ბავშვი. ამ ცნობებიდგანა სჩანს, რომ ჩეხნი მორავიაშიაც ძლიერდებიან. რეალური სასწავლებელი ჩეხებს მორავიაში 13 ჰქონიათ, სადაც 3,315 ბავშვი სწავლობს. ჩეხნი ეხლა მორავიაში საკუთარ უნივერსიტეტის დაარსებასაც თხოულობენ.

⁂

გაზეთები მეტად საყურადღებო ამბავს გადმოგვცემენ ჭლექის წამლობისას: ამას წინად პარიჟის სამკურნალო აკადემიაში ლივეს მოხსენება წაუკითხნია ჭლექთან ბრძოლის შესახებ. ლივეს ჩილისა და კოლუმბიის მცხოვრებთაგან შეუტყვია იმ მცენარეთა სახელები, რომელნიც შავის ჭირის საწინააღმდეგო ალკოგოლს შეიცავენ. ამ მცენარეთაგან ლივეს მოუმზადებია ექსტრაქტი და დაუწყვია ჭლექიანთა წამლობა გურიეს საავადმყოფოში. წამალს მეტად კარგად უმოქმედნია: ზოგი სულ მორჩენილა, ზოგიც ეხლა რჩება თურმე. ახალი წამალი მსწრაფელ მოქმედებს; რამდენისამე დღის შემდეგ ავადმყოფს აღარ ახველებს, მალე მადაც უძლიერდება. თუ ეს ამბავი გამართლდა, ჭლექიანების განკურნება სულ უბრალო საქმედ გადაიქცა.

⁂

კელნში პოლიციას დაუპატიმრებია ერთი ქალი, დირექტორი ობოლთა თავშესაფარისა. ამ ქალს 50 ბავშვის მოწამვლა ჰბრალდება თურმე. ამბობენ, ამ ბოროტ ქალს ამხანაგებიცა ჰყოლია, რომელთაც პოლიცია ეხლა გულ-მოდგინედ დაეძებს თურმე.

⁂

ამას წინად სიდნეიში (ავსტრალია) დაარსებულა ახალი საზოგადოება „ქალთა ტანისამოსის რეფორმისა". საზოგადოების წევრებად დედაკაცნი არიან. ერთ-ერთ კრებას ავსტრალიის გენერალ-გუბერნატორი ლორდ გოპტაუნიც დასწრებია. ლორდს სიტყვა წარმოუთქვამს და ურჩევია დედაკაცთათვის გძელის იუბკების გადაგდება. დამსწრენი აღტაცებით მიჰგებებიან გუბერნატორის სიტყვას.

⁂

13 იანვარს ბერლინში, „აღმოსავლეთ ქვეყნების შემსწავლელ საზოგადოებაში", პროფესორს დელიჩეს საყურადღებო მოხსენება წაუკითხნია ძველ ბაბილონის შესახებ. კრებას გერმანიის იმპერატორი ვილჰელმიც დასწრებია. დღემდე თუ რამ უწყოდნენ ძველ ბაბილონის შესახებ, უწყოდნენ დაბადებიდგან; სხვა წყარო არა იყო-რა. მხოლოდ ეხლა, რაც ბაბილონის სატახტო ქალაქ ნინევიის ადგილას მიწის თხრას შეუდგნენ, მრავალი ახალი წარწერები, ქანდაკებანი, სახლები აღმოაჩინეს, რომელთა წყალობითაც შესაძლებელი შეიქმნა ძველ ბაბილონის ცხოვრების შესწავლა. ზოგიერთი წარწერა, მაგალითად, ლურსმული, დელიჩეს აზრით, ეკუთვნის 5,000 წელს ქრისტეს დაბადებამდე. 1,000 წელს ქრისტეს წინ ბაბილონი დიდად კულტურული სახელმწიფო ყოფილა. 2,000 წლის განმავლობაში ბაბილონი აღმოსავლეთში კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა. სხვათა შორის, ბაბილონის კულტურა ქანაანის ქვეყანაშიაც გავრცელდა. ებრაელთა მრავალ ჩვეულებას სათავე ბაბილონში უდევს. მრავალი თქმულება, რომელსაც დაბადება გადმოგვცემს და რომელიც აქამომდე ებრაელთა ნიჭის ნაყოფად მიაჩნდათ, ბაბილონის ძველ ნაშთების წარწერებში უპოვნიათ. დაბადების გადმოცემა წარღვნის შესახებ სიტყვა-სიტყვით გადმოწერილი ყოფილა ერთ წარწერიდგან, რომელშიაც ნაამბობია წყალდიდობის ამბავი, 2,000 წლის წინად (ქრისტეს დაბადებამდე) მომხდარი ბაბილონში. ეს წარწერა ეხლა უპოვნიათ. უპოვნიათ აგრეთვე წარწერანი ქვეყნის შექმნისა და პირველ კაცის გაჩენის შესახებ. ერთ ქვაზედ უნახავთ დახატული მამაკაცი და დედაკაცი, შუაში ხეა. ხოლო დედაკაცს უკან გველი იკლაკნება. სახელი „იეღოვაც"-კი ბაბილონელთა გამოგონილი ყოფილა და არა ებრაელთა. ამ სახელს ბაბილონელნი ხმარობდნენ 2,300 წლის წინად, ქრისტეს დაბადებამდე, ე. ი. 900 წლის წინად, ვიდრე მოსე დაიბადებოდა.

⁂

განვლილ წელს გერმანიის უნივერსიტეტებში სწავლობდა 2,606 უცხო-ქვეყნელი სტუდენტი. ამათში ყველაზედ მეტი ბერლინის უნივერსიტეტში იყო—885 კაცი. ბერლინს მოსდევს ლეიპციგი, მიუნჰენი, გეიდელბერგი, გალლა, ფრეიბურგი, გეტინგენი, ვირცბურგი, ბრესლავი და სხვანი. უცხო-ქვეყნელთა შორის უმრავლესობას რუსნი შეადგენენ—717 კაცი. შემდეგ ავსტრიელნი, უნგრელნი, შვეიცარელნი, ინგლისელნი, ბოლგარნი, ჰოლანდელნი, ფრანგნი, ბერძენნი და სხვანი. ამერიკელი გერმანიის უნივერსიტეტებში სწავლობს 323 კაცი, აზიელი—154 (აზიელთა უმრავლესობას იაპონელნი შეადგენენ), აფრიკელი 12 და ავსტრალიელიც სამი კაცი.

დეპეშა

21 იანვარი

პეტერბურგი. გზათა სამინისტროს განსაკუთრებულმა კომისიამ დაამთავრა მუშაობა. რკინის გზებით მიმოსვლის საქმის გასაუმჯობესებლად გადაწყვეტილია გაამრავლონ მატარებელთა რიცხვი.

გააგა. ინგლისის ელჩს თათბირი ჰქონდა გარეშე საქმეთა მინისტრსა და საბჭოს პრეზიდენტთან.

პეკინი. იმპერატორის ბრძანებით დანიშნულ იქმნენ იუნგლუ პირველ, ხოლო ვანგვენშაო მეორე სახელმწიფოს სეკრეტრებად.

მოსკოვი. საგუბერნიო ერობაში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ სახალხო კითხვების საქმე წესიერად იქმნას მოწყობილი და მაზრებში სახალხო კითხვების გამგეთა თანამდებობანი იქმნას დაწესებული.

ვარშავა. ვარშავა-ვენის გზაზედ სცდელად ორთქლმავალები ქვა-ნახშირის მტვერით გაახურეს. ცდამ კარგი ნაყოფი მოიტანა.

კიევი. საქველმოქმედო საზოგადოების საავადმყოფოში ერთი დედაკაცი კეთროვნებით ავადმყოფი აღმოჩნდა.

22 იანვარი.

პეტერბურგი ფინანსთა სამინისტრო აცხადებს: „ამ ბოლოს დროს თამბაქოს მრეწველთა შორის გავრცელდა ხმა, ვითომ ფინანსთა სამინისტროსთან თამბაქოს მრეწველთა წარმომადგენელებთან ერთად მოხდება თათბირი თამბაქოს შეახების წესდების გადასინჯვის, რათა შეცვლილ იქმნას სისტემა თამბაქოს გადასახადის მოკრეფისა. ეს ხმა საფუძველს მოკლებულია. 1901 წლის 23 აპრილის კანონის შემდეგ ფინანსთა სამინისტროს აზრად აღარა აქვს აყარც წესდების შესწორება და არც წარმომადგენელთა მოწვევა"

ხელმწიფე იმპერატორმა 5,000 მანეთი უბოძა მეთევზეობის საიმპერატორო საზოგადოებას პეტერბურგში საერთაშორისო გამოფენის გასამართავად.

ტამბოვი. წელს ტამბოვის გუბერნიის სამრევლო-საეკკლესიო სკოლებისათვის ხაზინამ 100,000 მანეთი მეტი გადასდო.

ნიჟნი ნოვგოროდი. გუბერნიის საკრებულომ, შინაგან საქმეთა სამინისტროს მინდობილობით, შეადგინა პროექტი გლეხთა თვითმმართველობისა საქარხნო სოფელს პავლოვში.

ხარკოვი. მთა-მადნის მრეწველთა კრებამ დღეს დაადგინა ითხოვოს, რომ ბაჟი მოემატოს რუსეთში შემოსატან მანქანებს, მათ შორის სასოფლო სამეურნეო იარაღს.

გააგა. როდესაც ზედა პალატაში შეეკითხნენ, რა შინაარსისაა ნიდერლანდიის წინადადება ინგლისის მთავრობისადმი და აგრეთვე ინგლისის პასუხი, შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, ინგლისის პასუხი დღეს ნიდერლანდიის მთავრობის ხელშია, მაგრამ შინაარსს ვერ გამოვაქვეყნებთ, რადგანაც ინგლისის მთავრობასა ჰსურს, ინგლისში და აქ ერთ დროს იქმნას გამოცხადებულიო.

ლონდონი. ლორდთა პალატის კრებები 28 იანვარს დასრულდა.

საზოგადოებათა პალატამ, მის შემდეგ, რაკი ბალფურმა განაცხადა, გამოძიება მოხდება ამ საქმეთა გამო, რომელიც ცხენების ყიდვის დროს მოხდა უნგრეთშიო, შეიწყნარა დამატებითი სამხედრო ბიუჯეტი. ბალფურმა სთქვა, იმედი მაქვს, რომ ის საბუთები, რომლებიც ჰოლანდიის მთავრობის წინადადებას შესახება, ხვალ იქმნება გამოქვეყნებულიო.

22 იანვარი

ბაქო. 19 იანვარს საღამოს ცეცხლი გაუჩნდა შავს ქალაქში ვეზიროვის ქარხანას. დაიწვა 4 ბეღელი. ზარალი დიდია.

სიმფეროპოლი. შავის ზღვის სამხრეთ ნაპირებიდგან დაბრუნებული ადგილობრივ ოსმალთა კონსული იუწყება, რომ ყირიმის მხრიდგან ოსმალეთში თათრების გადასახლება დღემდის არ შეწყვეტილა. მიზეზი ამისა ის არის, რომ ყურძნის ვენახებს მცირე შემოსავალი მოაქვთ და თამბაქოს მწარმოებელნი შევიწროვებულნი არიან.

ბაქო. კომისიამ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა საზღვარ-გარეთ ნავთის გატანის მოწყობის საქმე, მუშაობა დაამთავრა. კომისია პარასკევს პეტერბურგს მიდის.

მიტავა. ზოგიერთა საკომერციო ფირმები და კანტორები ლიბავიდგან აქ გადმოაქვთ.

ბერლინი. „კიოლნის გაზეთი" ულოცავს ოსტენსაკენს იუბილეს და ამბობს, რომ რუსეთსა და გერმანიასა შორის კეთილგანწყობილებათა დამყარებას იგი დიდად დაეხმარა.

ლონდონი. „სენჯემის გაზეთის" სიტყვით, თუ რომ ომი აწინდელ საპარლამენტო სესიის დახურვამდე გათავდებაო, სალისბირი სამსახურიდგან გამოვა.

ბერლინი. იმპერატორმა რუსეთის ელჩი ინახულა.

23 იანვარი

ხარკოვი. ფინანსთა სამინისტრომ მიიწვია პეტერბურგში მთის მრეწველთა მე-26 კრების მიერ აღძრული კითხვების განსახილველად.

ბერლინი. იუბილეის მილოცვის დროს ბიულოვმა რუსეთის ელჩს იმპერატორ ვილჰელმის რესკრიპტი- ორის პოლკის ორკესტრი დილას მიესალმა ელჩს სერენადით

ბერლინი. იმპერატორმა გაუგზავნა ოტენისაკენ თავისი ბიუსტი.

კოპენჰაგენი. სახალხო დაცვის კომისიის დანიშვნის კანონ-პროექტის განხილვის დროს, მინისტრ-პრეზიდენტმა სთქვა: დანიის მთავრობამ უნდა განუცხადოს სახელმწიფოებს, რომ იგი მუდამ დაიცავს ნეიტრალიტეტს.

გააგა. იმ მოხსენებაში, რომელიც ნიდერლანდებმა წარუდგინა ინგლისს, განსაკუთრებული ყურადღებაა მიქცეული ბურების მდგომარეობაზე: ბურები მოწყვეტილნი არიან მთელს ქვეყნიერობას; დაიბადა კითხვა: არ შეუძლია ნეიტრალურ სახელმწიფოს წინადადებით მიმართოს ორივე მხარის წარმომადგენელთ, რომ პირდაპირ მოელაპარაკონ ერთმანეთს. ნიდერლანდებს ადვილად შეუძლია მიმართოს გოლანდიაში მყოფ დელეგატებს ბურებისას, რომ წავიდნენ აფრიკაში და მობრუნდნენ საჭირო უფლებებით.

გააგა. ინგლისი თავის პასუხში სამართლიანად სთვლის გოლანდიის ჰუმანიურს მისწრაფებას, მაგრამ უარჰყოფს წინანდებურად უცხო სახელმძიფოს საქმეში ჩარევას. ბურების დელეგატებს, თუ უნდათ, თავისუფლად შეუძლიათ მოსვლა-წასვლა. აქაურს დელეგატებს არავითარი გავლენა არა აქვთ აფრიკის ბურებზე; ინგლისის მთავრობა ფიქრობს, რომ მმართველობა შტეინის და შალკ-ბურგერის ხელშია, ამიტომ უკეთესი საშუალებაა პირდაპირ მოელაპარაკონ ბურები კიტჩენერს, რომელიც ყველაფერს გვატყობინებს აქ ჩვენ.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. კრანბორნი ამბობს პასუხად შეკითხვაზე, რომ უცხოეთის კონსულებს ტრანსვაალში და ორანჟის რესპუბლიკაში ოფიციალურად ადგილი არა აქვთ, მაგრამ მათ შუამდგომლობას მთავრობა მაინც აქცევს ყურადღებას.

კონსტანტინოპოლი. როგორც ამბობენ, საფრანგეთის, იტალიის და ოსმალეთის შორის მოლაპარაკებაა ტრიპოლისის შესახებ. ოსმალეთი არ არის კმაყოფილი იტალიის და საფრანგეთის დარწმუნებით და თხოულობს უფრო გამორკვეულს განმარტებას.

პეტერბურგი. პრავიტ. ვესტნიკში გამოქვეყნებულია ინსტრუქცია პოლიციისათვის, თუ როგორ უნდა ადევნოს თვალ-ყური სასმელით ვაჭრობას იმ ადგილებში, სადაც შემოღებულია არაყის მონოპოლია.

პეტერბურგის ბირჟა, 18 იანვარს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,90
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,55
ბერლინში „	46,63—94,70
არიჟში „	
ბირჟის დისკონტი	5—7%
4% სახელმწიფო რენტა	$96^1/_8$ გაყიდ.
$4^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა.	
5% 1-ლ შინგ. სესხის მოგებ. ბილ. 1864 წ.	$468^1/_2$ გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	367 მყიდ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	$269^1/_2$ მყიდ.
$4^1/_2$% გირავ. ფურც. იმავე ბანკისა	
5% ობლიგაციები ტფ. სკრედიტო საზოგ.	
$4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	$88^7/_8$ გაყიდ.
$4^1/_2$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	$82^3/_4$ წვ. გაყ.
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაიები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	
აქციები „	
„ კასპიის ამხანაგობისა	
„ ბაქოს ნავთის საზოგად.	3575 წვრ. გაყ.
„ ა. ი. მანთაშევისა და ამხ.	
ნავთის სამრეწვ. საზოგად.	328 წვრ. გაყიდ.

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 15 ოქტომბრიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს. ფრჩხილებს გარეთ—პეტერბურგის საათით).

მატარებელი მიდის **ტფილისიდგან ბათუმში:**

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.) ბათუმში ჩავა დილის 8 ს. 33 წ. (9 ს. 26 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 9 ს. 28 წ. (10 ს. 26 წ.).

ტფილისიდგან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 67 დღის 1 ს. 44 წ. 2) ს 42 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. 7) ს. 38 წ.)

ტფილისიდან ბაქოში:

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, პარასკევობით, დღის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.), ბაქოში ჩადის ღამის 3 ს. 58 წ. (4 ს. 50 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.), ბაქოში ჩადის დილის 6 ს. 33 წ. (7 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამო 9 ს. 36 წ. (10 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.)

ტფილისიდგან ყარსში:

ფოსტის მატარებელი № 58, 59 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.) ყარსში ჩადის დღის 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.).

ბათუმიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 4 ღამის 10 ს. 10 წ. 11 ს. 8 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 45 წ. (11 ს. 43 წ.)

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 58 წ. 9 ს. 56 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 33 წ) (9 ს. 31 წ.).

ბაქოდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 1 ხუთშაბათობით ღამის 10 ს. 41 წ. (11 ს 39 წ.) ტფილისში ჩამოდის დღის 12 ს. 47 წ. (1 ს. 45 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 ღამის 12 ს. 2 წ. (1 ს.) ტფილისში მოდის, საღამოს 6 ს. 24 წ. (7 ს. 22 წ.)

სამგზავრო მატარებელი № 5 დღის 3 ს. 35 წ. (4 ს. 33 წ.) ტფილისში მოდის დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ).

ბორჯომიდგან ტფილისში:

სამგზავრო მატარებელი № 66 ღამის 1 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ყარსიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 60—61 დილის 5 ს. 12 წ. (5 ს. 10 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 47 წ. [7 ს. 45 წ.).

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

ამოდის ნათდება, ვაჟა-ფშაველასი	15 კ.
ამბავნი და მოთხრობანი, გრ. ყიფშიძისა	15 „
ახუნდი, ვაჟა-ფშაველასი	5 „
ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა	30 „
აბო ტფილელი, ე. კ.	30 „
Або Тифлисскій, Е. К.	5 „
ამბავი მადლის ქვისა	5 „
აკიდო საყმაწვილო, მოთხრ. ი. გოგებაშვ.	15 „
ათონის ივერიის მონასტრის ხელთ-ნაწერი	1 მ. 50 „
ბერანჟე, თარგ. გ. გვაზავასი	40 „
ბენია	10 „
ბუნების სოფლარი მოვლენანი, ს. ჯუღელისა	15 „
ბაში-აჩუკი, აკაკისა	30 „
ბუნება სურათებში, ი. ალხაზიშვილისა	1 მ. 30 „
გლეხი კაცის ისტორია, III—IV ტ.	1 მ. 20 „
გამზრდელი, აკაკისა	5 „
გასართობი	10 „
გოგებაშვილი იაკობ, ზ. ჭ—სა	15 „

განცხადებანი

მკურნალი

ნ. ტ. მულინი.

იღებს ყურითა, ყელითა და ცხვირით ავადმყოფებს ყოველ-დღე ნაშუადღევის 1—3 საათამდე და საღამოს 4—8-მდე. სუდებნი 17. (წლ.)



როიალები



პიანინო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გარდახდით.

პრეისკურანტები

მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა

ბ. მ. მირიმანიანისა.

музыкальное депо

М. МИРИМАНЯНА

Тифлисъ. Дворцовая ул.

25—б—21

Открыта подписка на 1902 г. (XIV г. изданія)

на большую ежедневную политическую, общественную и литературную газету, издаваемую безъ предварительной цензуры, съ еженедѣльными иллюстрированными добавленіями,

„Русскій Листокъ"

(XIV ГОДЪ ИЗДАНІЯ).

Газета принадлежитъ къ числу наиболѣе распространенныхъ ежедневныхъ изданій, благодаря своему чисто русскому направленію, безусловной свѣжести и новизнѣ помѣщаемыхъ сообщеній и всего матеріала, а также благодаря живости, краткости и ясности печатаемыхъ въ ней статей извѣстныхъ журналистовъ. Вѣ административныя новости (сообщаемыя по телефону изъ Петербурга и по телеграфу изъ другихъ мѣстъ) появляются въ „РУССКОМЪ ЛИСТКѢ" не только одновременно съ петербургскими газетами, но даже часто и раньше послѣднихъ.

Свои корреспонденты имѣются во многихъ городахъ Россіи и за границей—въ Парижѣ, Лондонѣ, Берлинѣ, Вѣнѣ, Софіи, Римѣ, Женевѣ и др., а въ случаяхъ особой важности командируются спеціальные корреспонденты. (Въ истекшемъ году было послано 6 кор.—въ Данцигъ, Реймсъ и Дюнкирхенъ на торжества, въ Брюссель—на конгрессъ, въ Боснію и Герцеговину—во время смутъ.)

Обширность программы „РУССКАГО ЛИСТКА" даетъ возможность предложить читателямъ большое обиліе самаго разнообразнаго матеріала. Ежедневно въ фельетонахъ помѣщаются лучшіе романы, повѣсти, историческія и научныя статьи.

ИЛЛЮСТРИРОВАННЫЯ ДОБАВЛЕНІЯ извѣстныя по своей художественности, въ 1902 г., какъ было и въ истекшемъ 1901 г. будутъ выходить ЕЖЕНЕДЕЛЬНО и за годъ составятъ объемистый томъ съ массою рисунковъ, портретовъ, модъ и т. п. Вѣ болѣе крупныя событія дня иллюстрируются фотографическими снимками нашего фотографа:

ПОДПИСНАЯ ЦѢНА

съ доставкой и пересылкой:

на годъ	8 р.	на 3 мѣс	2 р. 50 к.
„ 6 мѣс.	4 „ 50 к.	„ 2 „	1 „ 70 „
„ 3 „	3 „ 30 „	„ 1 „	— „ 90 „

При годовой подпискѣ допускается разсрочка: при подпискѣ—5 р. и къ 1 іюля—3 р. или при подпискѣ 3 р., къ 1 апрѣля—3 р. и къ 1 іюля—2 р. Кромѣ того, допускается особая разсрочка по 1 руб. въ мѣсяцъ—въ теченіе 8 мѣсяцевъ, считая съ января.

Адресъ главной конторы: Москва, Мясницкая, д. № 20

Свои отдѣленія—въ Москвѣ, Петербургѣ, Тулѣ, Калугѣ и Рязани.

Редакторъ-издатель Н. Л. Казецкій.

3—2

Дозвол. цензурою. Тифлисъ 23-го Января 1902 г. გაზეთ „ტფილისისფურცლისა" და ექვ. ხელაძის სტამბა ლორ.-მელ. ქუჩა. დროებითი რედაქტორი ა. სარაჯიშვილი. გამომცემელი ჭავჭავაძე